საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყეიღებით და ჭიღებით ბეჭთის გაცანა ყველა უკარბისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 13 ივნისი. 2017 წ. №117 (8254), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

„ჟურნალისტ“ მუხთარლის ამბით „შეშფოთებულნი“

6

გავრცელდება თუ არა სპარსეთის ყურის დიდი თამაშები კავკასიაზე?

ერევანმა და ბაქომ პოზიციები გამოხატეს, თბილისი დუმილს ინარჩუნებს

5

„რუსთავი-2“: მედია, ფული და ძალაუფლება

2



ლინას ლინკევიჩუსი:

საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი

მონტენეგროს გაწევრიანება კარგი სიგნალი იყო არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთლიანად ნატოსთვის, — ამის შესახებ განცხადება ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკეთა. ლინას ლინკევიჩუსმა კურიერისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ნატოს ღია კარის პოლიტიკაზე ისაუბრა.

„მონტენეგროს გაწევრიანება კარგი სიგნალი იყო არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთლიანად ნატოსთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ალიანსი განაგრძობს ღია კარის პოლიტიკას და მოარული ხმები, რომ გაფართოება არ მოხდება, არ დასტურდება. იმ ქვეყნებს, რომლებსაც სხვა კი არ ახვევს თავზე, არამედ თავად უნდათ წევრობა, სჭირდებათ დრო რეფორმებისთვის. ჩვენც გვეუბნებოდნენ, რომ ვერ გახდებით წევრი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, მითუმეტეს, რომ ჩვენს შემთხვევაში არ არსებობდა ისეთი ჩანაწერი, როგორიც საქართველოს აქვს, რომ აუცილებლად გახდება ნატოს წევრი. ამიტომ, საქართველო უნდა მოემზადოს და ყველაფერი დასრულებული უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მომენტისთვის. ყურადღება არ უნდა მიაქციოს უიმედო განცხადებებს, მოარულ ხმებს,“ — განაცხადა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიცემულ ინტერვიუში.

„ინტერ რაო“ საქართველოს მთავრობასთან სტოკჰოლმის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში დავას იწყებს

რუსული ენერგოკომპანია „ინტერ რაო“ საქართველოს მთავრობასთან სტოკჰოლმის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში დავას იწყებს.

კომპანიას ელექტროენერგიის ტარიფის მომატება და ლარის გაუფასურებით მიყენებული დანაკლისის კომპენსირება სურს. „როიტერის“ ინფორმაციით, საუბარია 125 მილიონ დოლარზე.

კომპანიამ საქართველოში ორი ჰიდროელექტროსადგური 2011 წელს იყიდა, გარდა ამისა, „ინტერ რაო“ 75,11%-იან წილს ფლობს ელექტროენერგიის სადისტრიბუციო კომპანია „თელასში“.

მიხეილ სააკაშვილი:

შევცვლით უკრაინას, ბოლოს მოვუღებთ პუტინს და ვიხსნით კავკასიას

8

ვის კალათში „იდება“ ინვესტიციები?

4

«არ დაივიწყო 13 ივნისი»

2015 წლის 13 ივნისს მოხდა დიდი ტრაგედია ჩვენს ქალაქში. სტიქიამ 24 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ეს იყო დღე, როდესაც 2 ემოცია დაგვეუფლა. პირველი იყო შიში, სტიქიის შიში, რომელიც მარტოს გვტოვებს ბუნებასთან და მეორე სოლიდარობა, რომელმაც გაგვაერთიანა.

2015 წლის ივნისის მოვლენებიდან ორი წლისთავზე, მეგობრების ჯგუფმა გადავწყვიტეთ, დავამკვიდროთ ტრადიცია და პატივი მივაგოთ გარდაცვლილთა ხსოვნას.

გვსურს, რომ ერთად დავდგეთ კვლავ და ვაქციოთ 13 ივნისი სოლიდარობის დღედ!

გუშინ, 12 ივნისს, საღამოს 21 საათზე თბილისელები „მზიურის“ ამფითეატრში შეიკრიბნენ.

დიმიტრი ქუმსიშვილი მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტსა და აღმასრულებელ დირექტორს შეხვდა

საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტ სირილ მიულერსა და აღნიშნული ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს ფრენკ ჰიმსკერკს შეხვდა, რომელიც სომხეთის ქალაქ დილიჟანში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ქვეყნების ჯგუფის შეხვედრის ფარგლებში გაიმართა.

შეხვედრაზე განხილული იყო საქართველოში მიმდინარე რეფორმები და ინფრასტრუქტურული პროექტები, ასევე მსოფლიო ბანკის შესაძლებლობები, მომავალში მხარი დაუჭიროს საქართველოს განვითარებას ორივე მიმართულებით. შეხვედრაზე ასევე ყურადღება გამახვილდა 2017-2020 წლების ჩარჩო ხელშეკრულებაზე, რომელიც საქართველომ მსოფლიო ბანკთან უახლოეს მომავალში უნდა გააფორმოს. შეხვედრას ასევე დაესწრნენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე და ფინანსთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ გაგუა.

საქართველო და სავალუტო ფონდი

„საქართველოს ურთიერთობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ძალიან მნიშვნელოვანია. პროგრამა, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ვახორციელებთ, სრულად ეფუძნება საქართველოს მთავრობის 4-პუნქტიან გეგმას; იმ რეფორმებს, რომელთა შესახებაც ჩვენ წინასაარჩევნო პერიოდში განვაცხადეთ და იმ დაპირებებს, რომლებიც ჩვენ წინასაარჩევნო პერიოდში გვქონდა. მათი იმპლემენტაცია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია“, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის მოადგილე ტაო ჟანგთან შეხვედრის შემდეგ. შეხვედრაზე საუბარი წარიმართა საქართველოს მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე, აგრეთვე განხილული იყო მიმდინარე და დაგეგმილი ეკონომიკური რეფორმები, სავალუტო ფონდის ახალი პროგრამა და მისი მიმდინარეობა.

საქართველო-ლიტვას შორის ევროატლანტიკური ინტეგრაციის კომისიის ოქმი გაფორმდა

ლიტვის დელეგაციის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ევროატლანტიკური ინტეგრაციის კომისიის მე-4 სხდომის ოქმი გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ და ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ლინკევიჩუსმა.

ოქმის მიხედვით, ევროატლანტიკური ინტეგრაციის კომისიის ფარგლებში დელეგაციებმა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საკითხთა ფართო სპექტრი განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება პრიორიტეტულ სფეროებში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობათა გაღრმავების საკითხებს დაეთმო. მხარეებმა ასოცირების შესახებ შეთანხმების, მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის, ასევე ზოგადად აღმოსავლეთ პარტნიორობით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობის ათვისების აუცილებლობაზე იმსჯელეს.

დოკუმენტის მიხედვით, დელეგაციებმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთეს ნატოსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და აღნიშნეს, რომ ნატოში საქართველოს გაწევრიანება ხელს შეუწყობს საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებას. საქართველოს მხარემ დაადასტურა, რომ ნატოს წევრობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია, რომლის მიღწევასაც საქართველო წლიური ეროვნული პროგრამით განსაზღვრულ სფეროებში რეფორმების განხორციელების გზით გეგმავს. დელეგაციებმა დაადასტურეს, რომ საქართველოს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი გააჩნია, რომელიც ქვეყანას ნატოს წევრობისთვის ამზადებს და რომ ლიტვა მხარს უჭერს საქართველოს სვლას ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე.

დოკუმენტის ნაწილი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას ეხება. კერძოდ, ნათქვამია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა ლიტვის მხარეს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე ჰუმანიტარულ ვითარებასთან დაკავშირებით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დარღვევების თვალსაზრისით. ლიტვის დელეგაციამ, თავის მხრივ, შეშფოთება გამოხატა საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მიმდინარე ოკუპაციასთან დაკავშირებით და დაგმო რუსეთის მხრიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური ქართველების დისკრიმინაცია, გამშვები პუნქტების ჩაკეტვა, ხელოვნური ბარიერების აღმართვა და მიმდინარე მილიტარიზაციის პროცესი. ლიტვის მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი პოზიცია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით ურყევია.

ოქმის ნაწილი ორი ქვეყნის სავაჭრო და ეკონომიკურ პოტენციალს ეთმობა. დოკუმენტის მიხედვით, მხარეებმა მზადყოფნა გამოთქვეს, ითანამშრომლონ ევროპას, ცენტრალურ აზიასა და ჩინეთს შორის სატრანსპორტო გადაზიდვების გაძლიერების მიმართულებით და „ვიკინგ“ პროექტის ტრასეკასთან დაკავშირების პერსპექტივაზე გაამახვილეს ყურადღება.

ქართული მხარე მზადაა, საბაჟო მონიტორინგის შესახებ ნეიტრალურ კომპანიასთან კონტრაქტი გაფორმდეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ ქართული მხარე მზადაა, საბაჟო მონიტორინგის შესახებ კონტრაქტი გაფორმდეს ნეიტრალურ კომპანიასთან.

„გავეცანით გრიგორი კარასინის 10 ივნისის კომენტარს, რომელიც ეხება 2011 წელს საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის გაფორმებულ შეთანხმებას საბაჟო მონიტორინგის შესახებ. შეგახსენებთ, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 6 ივნისის კომენტარის საპასუხოდ, 8 ივნისს საქართველოს საგარეო უწყებამ გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათლად და სრულად არის წარმოდგენილი ქართული მხარის პოზიცია აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე რაიმეს დამატება ამ საკითხთან მიმართებაში აღარ არის აუცილებელი.

ქართული მხარე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მზადაა 2011 წლის შეთანხმების ყველა პუნქტის შესაბამისად, გაფორმდეს კონტრაქტი ნეიტრალურ კომპანიასთან და დაიწყოს შეთანხმების განხორციელება.

კვლავ მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, ასევე დაასრულოს კომპანიასთან ხელმოსაწერ კონტრაქტზე მუშაობა, რათა დაიწყოს მისი განხორციელება ძირითადი შეთანხმების სრული შესაბამისობით.

ცნობილია, რომ ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული შვეიცარიის მხარე, რომლის დახმარებითაც მოხერხდა 2011 წლის შეთანხმებასთან დაკავშირებული რიგი საკითხების მოგვარება. ჩვენ მზად ვართ, მათი ჩართულობით და არსებული ფორმატებით გაგრძელდეს ამ საკითხზე მუშაობა“, — აცხადებს ზურაბ აბაშიძე.

ნარკოპოლიტიკის რეფორმასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ორგანოში პროცესი უკვე დაწყებულია

„ჩვენ ვმუშაობთ ცვლილებაზე, რომელიც ახალ თაობას ნარკოდამოკიდებულებისგან იცავს, ითვალისწინებს მომხმარებელთა ინტერესების დაცვას და მათ ხელმისაწვდომობას ისეთ სერვისებზე, როგორიცაა ზიანის შემცირების და რეაბილიტაციის სერვისები. ასევე, ეს მიდგომა არანაირ კომპრომისს არ უშვებს ნარკოტიკებით ვაჭრობასთან და ორგანიზებულ ნარკოდანაშაულთან მიმართებაში. ამ რეფორმის განხორციელება შესაძლებელი ჩვენი ხელისუფლების პირობებში გახდა და ამ წლებში, არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მიმდინარე წლის განმავლობაში საკანონმდებლო ცვლილებების მიღებას აუცილებლად უზრუნველვყოფთ. ცვლილებების ინიცირება უახლოეს პერიოდში მოხდება“, — განმარტა თალაკვაძემ.

◎ რა ელის ტელეარხს?

„რუსთავი-2“: მედია, ფული და ძალაუფლება

ყველაზე რეიტინგულ ქართულ ტელეარხზე მიმდინარე პროცესები კვლავ „თალხი ბურუსითაა“ მოცული: „თამამად და ჯიუტად“ სდუმან. ერთ-ერთი ყარამანიშვილის განცხადებამ სიტუაცია კი არ გაარკვია, კიდევ უფრო გააბუნდოვნა: **„ნიკა გვარამია ჩვენ არ გადაგვიყენებია და როცა უნდა მუშაობა მაშინვე შეუძლია გააგრძელოსო“.**

როგორც ჩანს, მეტისმეტად გულუბრყვილოები ვგონივართ ამ „ძმებს“, რაკი მიაჩნიათ, ელემენტარულად ვერ შევძლებთ ფაქტების შეჯერებას და სავარაუდო მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას.

მაგალითად: სრულიად აშკარაა, რომ **„მოარული ხმები“ თუ „მოარული შეხედულება“ იმის თაობაზე, თითქოს მიმდინარე ფინანსური კრიზისი ცნობილი სასამართლო დავის პროცესში დადებულმა ყადაღებმა გამოიწვია, არის, უბრალოდ, ცრუპენტელობა!** ყადაღა ტელეკომპანიას დიდი ხანია, დაედო, თუმცა მთელი წლის განმავლობაში ხელფასებიც რიგდებოდა და ძვირად ღირებული პროექტებიც ხორციელდებოდა.

პრობლემა მას შემდეგ წარმოიშვა, რაც ინვესტორებმა ამ პროექტთა დაფინანსება შეწყვიტეს. რატომ შეწყვიტეს? სწორედ ესაა მთავარი საკითხი: ფინანსური სირთულეები გამწვავდა ზუსტად იმ პერიოდში, როცა გამოქვეყნდა სკანდალური აუდიოჩანაწერი, რომელშიც „ვინმე უცნობი“, რომლის ხმა ძალიან ჰგავს ნიკა გვარამიას ტემბრს, „კიტრებს“ უწოდებს ტელევიზიის დამფუძნებლებს.



ძნელი სათქმელია, ყარამანიშვილებმა რაიმე ექსპერტიზა ჩაატარეს თუ მანამდე ჩამოყალიბებულ ურთიერთობათა სტილიდან გამოიტანეს დასკვნები, თუმცა, როგორც ჩანს, მათი ვერდიქტი ერთმნიშვნელოვანი იყო.

კახელები არიან „ბოლო-ბოლო“.

ამას მოჰყვა „რ-2“-ის წილთა გადანაწილების უცნაური და ცოტა არ იყოს კომიკური ისტორია, როდესაც მენეჯმენტმა დამფუძნებლებს, ფაქტიურად, ულტიმატუმი წაუყენა და საკონტროლო პაკეტის გადაცემა მოითხოვა; თან იმ იურიდიული ფორმით, როგორც თავად მიაჩნდა მიზანშეწონილად.

* * *

დამფუძნებლები რომ ასეთ რამეებს **დიდხანს ვერ მოითმენდნენ**, — ცხადია; მით უმეტეს, ამ „საწარმოში“ კარგა გვარიანი ინვესტიცია აქვთ ჩადებული: მხოლოდ შენობა რად ღირს!

მაგრამ მეორე მხრივ, **არსებობს ისეთი საოცარი ფენომენი, როგორიცაა კონტრაქტი მოქალაქე ნიკა გვარამიასა და ტელეკომპანიას შორის, როლითაც (დაუჯერებელია, თუმცა ფაქტია) იმ შემთხვევაში, თუ გვარამიას გადააყენებენ, კომპენსაციის სახით 5 მილიონი ლარი უნდა მიიღოს, ხოლო თუ თავად, საკუთარი ნებით გადადგება - დაახლოებთ მილიონნახევარი ლარი!**

გამოდის, მოქმედი კონტრაქტით, ტელეკომპანიის აწ უკვე გადამდგარ მენეჯერს, ვინც „რ-2“-ის ინტერესებს მოზარდი ლომივით იცავდა, სრული იურიდიული უფლება აქვს, უჩივლოს იმავე ტელეკომპანიას და მოსთხოვოს მის დამფუძნებლებს დამატებით 1,5 მილიონი ლარი მაშინ, როდესაც 2012 წლიდან დაწყებული, ხელფასის სახით თითქმის 2,5 მილიონი აქვს აღებული!

ასეთი კონტრაქტი როცა გაქვს გაფორმებული, იბრძოლებ ლომივით აბა რას იზამ?

იხ. 8 გვ.

ახლა თავმდაბლობის დრო არ მაქვს და უნდა „გამოვტყდე“...

1979 **წლიდან**, საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიამ (შემდეგ, რადიომაც) შემოიღო რუბრიკა „პოეზიის 5 წუთი“, რომელმაც ფართო გამოხმაურება და მხარდაჭერა პოვა. ამ ნაბიჯს რეაქცია მოჰყვა მოსკოვშიც, ცენტრალურ ტელევიზიაშიც. მომთხოვეს ცნობის მიწოდება და... მასალა დაიბეჭდა უწყების ბიულეტენში, ტელერადიოს საკავშირო ჟურნალში და... ბევრმა სტუდიამ, მათ შორის ცენტრალურმაც, ეს სიახლე დანერგა.

ახლა თავმდაბლობის დრო არ მაქვს და, უნდა „გამოვტყდე“, რომ ამ იდეის (ისევე, როგორც „საკვირაო გამოფენის“, „სამშობლოსათვის, ბიჭებო, სწორდით!“, „ენა დედაა ერისა!“, „ძეგლები!“...) ავტორი თავად გახლდით, ხოლო შემსრულებელი – ტელევიზიის ლიტერატურულ გადაცემათა მთავარი რედაქცია (თუ არ ვცდები, უშუალო კურატორი – თამაზ ტყემალაძე).

ახლა, დროდადრო ინტერნეტშიც წავაწყდები ამ სახელწოდებას და მსიამოვნებს, რომ უკვე, თითქმის ოთხი ათეული წელია, ცოცხლობს ეს იდეა...

რატომღაც მგონია, რომ ახლა, როგორც არასდროს, გვჭირდება ნაღდი „პოეზიის 5 წუთი“. ჩვენ ბოლო წლებში გვყავდა განათლების მინისტრები (ლომაია, შაშკინი), რომლებსაც არ უსწავლიათ ქართულ სკოლაში და, აქედან გამომდინარე, ალბათ, არ აღზრდილან „დედაენაზე“, მინისტრებად გვყავდნენ ბუღალტერი (შესანიშნავი ტანმოვარჯიშე), მენეჯერი (ცნობილი ზღაპართმცოდნე და შეუდარებელი „პიარშიკი“), რომელთა საჯარო გამოსვლები მეტყველებდნენ იმაზე, რომ მაინცდამაინც არ წყალობდნენ პოეზიას. თუ ვცდები, წინასწარ ვიხდი ბოდიშს. ამიტომ, გადავწყვიტე, ჩემს ფბ-მეგობრებს შევთავაზო იდეა: **შევქმნათ საგანგებო, გამიზნული „პოეზიის 5 წუთი“, ანუ, ანთოლოგია სპეციალურად ბატონი ჯეჯესათვის. და დავარქვათ მას „ჯეჯეს პოეტური საზეპიროები“!!!!**

საქმეს წაადგება და თანაც დავეხმარებით იმაში, რომ სკოლებს დაჟინებით და კომპეტენტურად მოსთხოვს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებას, გადახედავს თავის დამოკიდებულებას „საზეპიროებისადმი“ (მაგალითს აიღებს ექსპრეზიდენტისგან, რომელმაც ზეპირად „იცის“ რუსთაველი) და თავისი კომპეტენციის დემონსტრაციას მოახდენს ამ ლექსების მთლიანად თუ არა, სტრიქონების „ზეპირი“ (!!!!) ცოდნით.



შემომიერთდით და კოლექტიურად შევქმნათ ბატონი ჯეჯეს პოეზიის ანთოლოგია.



აი, გახსენით ეს ლინკი და ... ესეც, პირველი ლექსი, დღესდღეობით უაღრესად აქტუალური, არა მარტო სკოლებისთვის, არამედ ჩვენი ყოველდღიურობისთვის. ისე, შეცვალეთ სიტყვა „რუსული“ ინგლისურზე და... მიიღებთ იმავე პრობლემას.

ნუგზარ ფოფხაძე

„მხოლოდ დედაენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანმა“

ქართული ენა და დედა ენა არაერთი მწერლისა და პოეტის მუზად იქცა. იოანე ზოსიმე, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ ნონეშვილი, ირაკლი აბაშიძე, მუხრან მაჭავარიანი, – ეს იმ შემოქმედთა არასრული ჩამონათვალია, რომლებმაც ქართულ ენას და დედა ენას ლექსები მიუძღვნეს:

იაკობ გოგებაშვილი: „მხოლოდ დედა ენა არის ენა სულისა და გულისა, ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა“ მხოლოდ დედაენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ.“

ილია ჭავჭავაძე: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება.“

იოანე ზოსიმე: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან.

და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა.“

საქართველოს კათალიკოს პატრიარქი კირიონ მეორე: „დედა ენა არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან საშობლო ქვეყნის მოღვაწენი; დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი.

მხოლოდ იმ ერს აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზედ ცხოვრებისა და მოქმედებისა, რომელიც მუდამ იცავს თავის ენას, ზნეს და ჩვევას.“

გრიგოლ ორბელიანი: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას.“

მუხრან მაჭავარიანი:
„ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა!
იმოდენაა!“

გიორგი ლეონიძე:
„ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად
გულში ამოხლართული.“

იოსებ ნონეშვილი:
„ჩვენ გვიყვარს წიგნი სიტყვახატული,
განა სიტყვები?.. ნატვრის თვლებია.
თუ დაივიწყე ენა ქართული,
მაშ, საქართველო დაგვიწყებია.“

მუხრან მაჭავარიანი:
“მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს.“

ირაკლი აბაშიძე:
„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,
შენ ჩვენო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო.“

მუხრან მაჭავარიანი:
„მრავალჭირვარამგადანახადი,
უნატიფესი ენა ქართული,
ყველაზე კარგად რომლის ლაზათი
შოთას ლექსშია გამოხატული.“

ოტია იოსელიანი:
„წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,“
დედაენით დაიწყო და
დედაენით დამთავრდება!“

ვახუშტი კოტეტიშვილი:
„მე შეგახსენებთ გალაკტიონს ალალ-მართლურად,
პირდაპირ გეტყვით, არ დაგიწყებთ იგავ-არაკებს:
„ილაპარაკეთ, მე თქვენა გთხოვთ ოღონდ ქართულად,
ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ!“

◎ **გამოხმაურება**

როცა სახელმწიფო მოხელეს მეექვსე გრძნობა არა აქვს...

პატივცემულო რედაქცია,

„საქართველოს რესპუბლიკის“ 1 ივნისის ნომერში დაიბეჭდა არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას წერილი „დავდგათ ქუჩებში მმართველი რობოტები“, რომელიც ეხება უაღრესად მგრძნობიარე, ფაქიზ საქმეს, გამოჩენილ მოღვაწეთა ხსოვნას და სახელმწიფო მოხელეთა პასუხისმგებლობას, მათ სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტს. ბატონი ვახტანგი ცამდე მართალია, როდესაც მერიის კულტურის სამსახურის უფროსს ქ-ნ ია მაქაცარია-ჩხაიძეს მიმართავს – „თქვენი პასუხი რობოტის პასუხია“, კულტურის სამსახურის ხელმძღვანელმა „როგორც მინიმუმ უნდა იცოდეს, ვინ ვინაა“.

მკითხველისათვის ნათელი რომ გახდეს, საქმე ეხება გამოჩენილი მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის მემორიალის დადგმაზე მერიის კულტურის სამსახურის უარს, ქალაქში, სადაც მისი რვა მონუმენტია აღმართული, რაც თავისთავად უპრეცედენტოა მონუმენტალური ხელოვნების ისტორიაში და რაც მთავარია, საქმე არა რაოდენობაშია, არამედ ხარისხში, ამ მონუმენტების მეტი ნაწილი ჩვენი დედაქალაქის სიმბოლოები და სავიზიტო ბარათებია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართულ და მსოფლიო მონუმენტალურ ხელოვნებაში.

ქალბატონო ია, ეს რომ დაგიწერიათ:

„თქვენ მიერ წერილში დასმული საკითხი, რომელიც საქართველოს სახალხო მხატვრის ელგუჯა ამაშუკელის მემორიალის განთავსებას ეხება, ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს“.

ამაშუკელის ბიუსტის დადგმა მისი ოჯახის ან ნათესავების, მეგობრების ამბიცია სულაც არ არის, ასე რომ ყოფილიყო, ისინი ამ საკითხს 15 წლის წინათ დააყენებდნენ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №11-42 დადგენილების მე-4 მუხლის 1' პუნქტი წინ ვერ აღუდგებოდა.

ქალბატონო ია,

თქვენ არ შეგრცხვებოდათ ასეთი პასუხი მიგეწერათ ივანე ჯავახიშვილის, ნიკო მუსხელიშვილის, გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას, აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის, სერგო ზაქარიაძის, ოთარ მეღვინეთუხუცესის, რამაზ ჩხიკვაძის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, სერგო ქობულაძის და სხვათა და სხვათა ხსოვნის საორგანიზაციო ჯგუფისთვის. სახელმწიფო მოხელე, რომელსაც არა თუ სრულყოფილად, არამედ ნაწილობრივ, მაინც არა აქვს მეექვსე გრძნობა (სხვათა შორის, ელგუჯა ამაშუკელს აქვს ამ დასახელების წიგნი), რაც „ყოფით ენაზე“ იგივეა, რაც „სახელმწიფოებრივი აზროვნება“, ჯობია, განერიდოს სახელმწიფო მმართველობით პოსტებს.

პატივისცემით,
არქიტექტორები
გიული გეგელია, თამაზ დოგრაშვილი, თამარ ნაცვლიშვილი.

გერმანიის პარლამენტის საგარეო კომიტეტის წევრი ნილს ანენი საქართველოს სტუმრობს

11-დან 13 ივნისამდე საქართველოში ვიზიტით გერმანიის პარლამენტის საგარეო კომიტეტის წევრი ნილს ანენი (სოციალ-დემოკრატიული პარტია) იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში მისი თანმხლები პირები არიან ფრიდრიხ ებერტის ფონდის თანამშრომლები და გერმანიის პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის რეფერენტი. დელეგაცია შეხვდება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს მიხეილ ჯანელიძეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს, ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძეს.

გარდა ამ შეხვედრებისა ანენი დელეგაციასთან ერთად ესტუმრება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ოფისს მცხეთაში და შეხვდება მის ხელმღვანელს, ელჩს კესტუტის იანკაუსკასს. ეს ვიზიტი მიმდინარეობს საქართველო-გერმანიის საიუბილეო წელს, რომელიც დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილესა და პირველი გერმანელი კოლონისტების საქართველოში ჩამოსვლის 200 წლისთავს ეძღვნება.

◎ პრობლემა

ვის კალათში „იდება“ ინვესტიციები?

თქმა არ უნდა: ჩვენი დღევანდელი ყოფა შეუდარებლად უკეთესია, ვიდრე დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ 10 წელს იყო, მაგრამ ერთი ცნობილი ქართული კინოფილმის არანაკლებ ცნობილი რეპლიკისა არ იყოს, „ეს მაინც არაა ჩემი სიდედრი“. კი ბატონო, ქვეყანაში ბევრად გაუმჯობესდა როგორც საერთო მდგომარეობა, ასევე გარკვეული ყოფითი მომენტები, მაგრამ იმ შესაძლებლობებთან შედარებით, რაც ამ ხნის მანძილზე ნაირ-ნაირმა სახელისუფლებო გუნდებმა მარტო საზღვარგარეთიდან მიიღეს, ხალხი შეუდარებლად უკეთესად უნდა ცხოვრობდეს. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ წინამდებარე წერილში სრულიად შეგნებულად არ შევეხები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვას, რაც აგრესიული სეპარატიზმის, ჩრდილოელი მეზობლის იმპერიული ამბიციებისა და საკუთარი ხელისუფლების უტვინო პოლიტიკის შედეგია. ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩვენი ყოფის ფინანსური მხარის ზოგიერთ ასპექტზე შევჩერდები, რადგან წლების განმავლობაში ქვეყანაში შემოსული დიდძალი საინვესტიციო სახსრების მიუხედავად, „კარგი ცხოვრება“ მხოლოდ კომერციული ბანკების, ასევე რამდენიმე დიდი მონოპოლისტი კომპანიისა და ცხადია, სახელმწიფო მაღალი რანგის ჩინოსნებს აქვთ, თორემ დანარჩენები ისევ ძველებურად „ბრძანდებიან“.

სავსებით გასაგებია, საიმისოდ, რომ საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის დონემ ევროპის თუნდაც „წაქცეული“ ქვეყნებისას მიაღწიოს, საამისოდ სათანადო ეკონომიკური წინაპირობები უნდა არსებობდეს, უწინარესად, საშუალო კლასი მოძლიერდეს, რის გაკეთება სათანადო ფინანსური სახსრების გარეშე შეუძლებელია. საეჭვო არ არის, რომ იმდენ ფულს, რამდენიც „ელიტურ ინტერესთა ჯგუფების“ წარმომადგენლებს სურთ, ჩვენ „ხონჩით“ არავინ მოგვართმევს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ შეღავათიანი საკრედიტო ხაზებიდანაც, რომლებიც ჩვენმა კომერციულმა ბანკებმა თუნდაც ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მიიღეს, არსებითად, მათ გარდა არავის უხეირია. თავად მათი მოგება კი წლიდან წლამდე საქართველოს საფინანსო ბაზრისთვის ასტრონომიულ თანხებს აღწევს. არსებითად, იმასთან გვაქვს საქმე, რომ ქვეყანაში შემოსული ინვესტიციები მხოლოდ რამდენიმე ათას კაცს თუ ადგება, დანარჩენები, ძირითადად, საგარეო ვალების გასტუმრებას უზრუნველყოფენ თავიანთი შრომით და მწირი სახელფასო გასამრჯელოდან გადახდილი გადასახადებით.

იმის მიუხედავად, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, როგორც ამას სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური იუწყება, ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, არსებითად, სტაბილურად ერთ დონეზეა და 1,6-1,7 მილიარდი დოლარის ფარგლებში მერყეობს, მათი ლომის წილი, ძირითადად, მსხვილ ბიზნესში მიდის. საშუალო და მცირე მეწარმეები კი, ვინც, პრინციპში, ყველგან საზოგადოების ხერხემალს წარმოადგენს, „ღარიბი ნათესავების“ მდგომარეობაში არიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინვესტიციებს უაღრესად მცირე ჯგუფი განკარგავს, სარგებლის უდიდეს ნაწილსაც, ცხადია, ის იღებს. დანარჩენი კი „დანარჩენებზე“ ნაწილდება. სწორედ ესაა იმის მთავარი მიზეზი, რომ ეკონომიკის ექსპერტები ლამის ერთხმად გაიძახიან, რომ საიმისოდ ქვეყანა რომ მყარად დადგეს ეკონომიკური აღმავლობის გზაზე და წინსვლის სიკეთე ხალხსაც დაეტყოს, აუცილებელია ეროვნული შემოსავლის განაწილების ნიველირება, რაც ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვის ვექტორის შეუცვლელად სრულიად შეუძლებელია.

ბუნებრივია, რომ ინვესტიციებიდან მიღებული სარგებლის ხალხზე მეტ-ნაკლებად თანაბრად განაწილება რომ მოხერხდეს, საიმისოდ საჭიროა ისინი დარგებს შორისაც ასევე მეტ-ნაკლებად თანაბრად, ცხადია, არსებულ მოთხოვნათა შესაბამისად ნაწილდებოდეს. ახლა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ფული ძირითადად კომერციული საბანკო სექტორის ხელში ხვდება, დიდი ნაწილი ენერგოპროექტების განხორციელებასა და ინფრასტრუქტურულ განვითარებას ხმარდება. აი, ესენია ის ძირითადი სფეროები, სადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ლომის წილი მიდის. ნამდვილად სირცხვილია, რომ „მიწათმოქმედთა ქვეყნად“ წოდებული საქართველოს სოფლის მეურნეობაში, სადაც, ფაქტობრივად, ყოველი მეორე მომუშავეა დასაქმებული, ამ ინვესტიციების „ნაკადული“ მთელი ოდენობის 10 პროცენტს ძლივს აღემატებოდეს.

ამდენად, უმჯობესია, ყური მივუგდოთ იმ უცხოელ ექსპერტებს (თვალი ხომ მაინც სულ მათზე გვიჭირავს უკლებლივ ყველა საქმეში!) და ისევ მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებასა და ინოვაციური საწარმოების შექმნას მივხედოთ. ამასთან, ბოლოს და ბოლოს, იმის დროცაა, რომ სოფლის მეურნეობაში თუნდაც დღესდღეობით გამოყოფილი სახსრების ხარჯვას ისეთი კონტროლი დავუწესოთ, რომ ქართულ მიწაზე მოყვანილი ბოსტნეული და ხილი მაინც ვჭამოთ და არა გაკვირვებულებმა ვუცქიროთ, თუ როგორ დაჰქრიან ნახმარი უცხოური მანქანებით ტუტრუცანა „ვაი-ფერმერები“.

ოთარ ტურაბელიძე

დევნილთა ფართომასშტაბიანი შეკრება 15-წლიანი პაუზის შემდეგ

და იგნორირებული სახელმწიფო ენა

რამდენიმე დღის წინათ ზუგდიდში ენგურქაღალდკომბინატის კულტურის სასახლის წინ მოედანზე აფხაზეთიდან დევნილები შეიკრიბნენ. ამდენი ერთად შეკრებილი (დაახლოებით 1500 ადამიანი) დევნილი 15 წელია, არავის უნახავს. ამ შეკრების გარშემო მრავალი მითქმა-მოთქმა გაისმოდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ დევნილებმა დიდი ხნის შემდეგ პირველად გაახმოვანეს თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნები. ეს შეკრება არამც და არამც არ იყო მიმართული ხელისუფლების წინააღმდეგ, ამიტომაც დაგეგმილი იყო აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის და მთავრობის წევრების დასწრებაც, თუმცა ბოლო მომენტში მათ რატომღაც თავი შეიკავეს შეკრებაზე დასწრებისაგან.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ ამჟამად არსებული „სტატუს კვოს“ პირობებში უნდა გაუმჯობესდეს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობები და პოლიტიკური უფლებები. დევნილებს აღუდგეთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების ფორმირებებში.

შეიქმნა აფხაზეთის საზოგადოებრივი დარბაზი, რომელიც იქნება შუამავალი დევნილებსა და ხელისუფლებას შორის, ანუ დევნილთა მოთხოვნების მიმტანი ხელისუფლებამდე.

შეკრებაზე გამოითქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში იკრძალება ქართული ენა, სკოლებში სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს რომ ქართული ენა, შეიძლება ითქვას, უარყოფილია არა მარტო ოკუპირებულ, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. აბა დააკვირდით შენობების ფასადებზე გაკრულ აბრებს, ე.წ. ბანერებს, რეკლამებს და ა.შ. მათზე უპირატესობა ქართულთან შედარებით ენიჭება ინგლისურ ენას, უფრო მეტიც, ქართული წარწერა ბევრგან საერთოდ არ არის. ამაზე ამბობდა რამდენიმე წლის წინათ დაწერილ ლექსში გამოჩენილი პოეტი მუხრან მაჭავარიანი „სურთ იმნაირად საქართველო აქციონ ქვეყნად, ქართული, სადაც ძლივს ორლობის იქნება ენა“.

თუ ჩვენ გვინდა აფხაზეთისა და აფხაზების შემოერთება და შემორიგება, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართულთან ერთად სახელმწიფო ენა აფხაზურიცაა, ამიტომაც აუცილებელია არა მარტო ქართული ენის, არამედ აფხაზური ენის დამცავი სტრუქტურის შექმნა. ნაცვლად ამისა, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება იგნორირებას უკეთებს წინა მოწვევის პარლამენტის მიერ 2015 წლის ივლისში მიღებულ კანონს „სახელმწიფო ენის შესახებ“, რომლის თანახმადაც 2016 წლის თებერვლიდან საქართველოში უნდა შექმნილიყო სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. გავიდა წელიწად-ნახევარი და პარლამენტის დადგენილება შესრულებული არ არის. გაუგებარია რა მიზეზით, რა მოტივით არ გვარდება ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხი.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი იქნება ის ერთადერთი სტრუქტურა, რომელიც მალამოსავით მოეცხება დასაღუპავად განწირულ დედა ენას. 21-ე საუკუნეში მუდამ უნდა გვახსოვდეს მე-19 და მე-20 საუკუნეების დიდი ქართველი პოეტების გრიგოლ ორბელიანისა და ანა კალანდაძის შეგონებანი „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წარეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“ და „დედა ენას ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით სჭირდება თვალყურის დევნება“.

ლადო ძირია
ზუგდიდი

მიტოვებული სახლები უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფოს, ჩვენ წლობით ვერ დაველოდებით აქედან წასულ ადამიანებს

ეს სახლები უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფოს, ჩვენ წლობით ვერ დაველოდებით აქედან წასულ ადამიანებს , — განაცხადა ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტმა, ანატოლი ბიბილოვმა. მისი ბრძანებით, ახალგორში სპეციალური კომისია იქმნება.

„გაუგზავნეთ მიტოვებული საკუთრების მფლობელებს შეტყობინება. ყველას, არა აქვს მნიშვნელობა სად ცხოვრობენ ახლა თბილისში, გორში, ცხინვალში თუ ვლადიკავკაზში. თუ ამ შეტყობინებაზე პასუხი არ მიიღეთ, სასამართლოს გზით მიიღეთ გადაწყვეტილებები. სარჩელს დაწერს ახალგორის ადმინისტრაცია. ეს სახლები უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფოს და შემდეგ დაურიგდეთ იმ ადამიანებს, ვისაც საცხოვრებლის პრობლემა აქვს. ჩვენ ვერ დაველოდებით აქედან წასულ ადამიანებს წლობით, როდის დაგიბრუნდებიან. მარტივად გადასაწყვეტი საკითხია — საკმაოდ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი“, — განმარტა ბიბილოვმა.

საკითხი მწვავედ მას შემდეგ დაისვა, რაც ოკუპირებული ახალგორის რაიონის დე ფაქტო ადმინისტრაციამ რეგიონში მოწვეული ე.წ. სპეციალისტებისთვის საცხოვრებელი ფართები მოითხოვა.

ბერიძის ხუთი თვის ხელფასი - 16 746 ლარი

აჭარის მთავრობის უმაღლეს საბჭოსთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ავთანდილ ბერიძის შრომის ანაზღაურებამ წელს, პირველ ხუთ თვეში 16 746 ლარი შეადგინა. ინფორმაციას აჭარის მთავრობისგან მოწოდებული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე „ბათუმელები“ ავრცელებს. ინფორმაციის მიხედვით, ბერიძე ხელფასის გარდა იღებს დანამატსაც და პრემიასაც.

„მისმა შრომის ანაზღაურებამ წელს, პირველ ხუთ თვეში 16 746 ლარი შეადგინა, თვეში საშუალოდ 3349 ლარი (მათ შორის დანამატის სახით 6569 ლარი მიიღო, პრემია — 1416 ლარი). ავთანდილ ბერიძის, როგორც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის შრომა კი, თვეში 5750 ლარს ფასობდა (ის წინა მოწვევის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იყო).“

რაც შეეხება საავტომობილო ხარჯებს. ავთანდილ ბერიძეს ავტომანქანაც ემსახურება და პირველ ხუთ თვეში მან 750 ლიტრი საწვავი დახარჯა, ხოლო ბერიძის სატელეფონო ხარჯმა 186 ლარი შეადგინა.

◎ სამხედრო ანალიტიკოსები მიიჩნევენ...

სკანდალი სკანდალის გარეშე

ბრიუსელში, ნატოს შტაბბინის წინ, ჩერნოგორიის სახელმწიფო დროშა აფრიალდა ნიშნად იმისა, რომ დასავლეთი ბალკანეთის ეს ქვეყანა, რომელიც ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პატარა სახელმწიფოა, ოფიციალურად გახდა ნატოს 29-ე წევრი. ყოფილი იუგოსლავიის ამ მომცრო სახელმწიფომ შესაშურ შედეგებს მიაღწია ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. ცხადია, ჩერნოგორიის ეს მიღწევა სტიმულია ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელიც ნატოში გაწევრებას ესწრაფვის, მათ შორის საქართველოსათვის, რომელსაც იმავე ბუქარესტის ნატოს სამიტზე უარი ეთქვა მაპზე, ანუ გაწევრების სამოქმედო პროგრამაზე. თუმცა 2008 წლის სექტემბრიდან საქართველოს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი აქვს ნატო-საქართველოს კომისიის სახით, როგორც პოლიტიკური კონსულტაციების, ისე პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმი, რომელიც ეხმარება მას მიაღწიოს ნატოში გაწევრების მიზანს.

მაგრამ როდის მიიღებს ნატოში გაწევრების მოსაწვევს საქართველო, ცნობილი არ არის და ეს არც არის ჩვენი ამჟამინდელი საუბრის თემა. შევეხები სხვა საკითხს. იმ დროს, როდესაც ჩერნოგორია ნატოში გაწევრების ოფიციალური ცერემონიისთვის ემზადებოდა, საქართველოში სკანდალის თემად იქცა ქართული ქვედანაყოფის სავარაუდო შემცირება ავღანეთში, სადაც ნატოს მრავალეროვნულ „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში ჩვენი 870 ჯარისკაცი იმყოფება. სტატისტიკის მოყვარულებისათვის გავიმეორებ, რომ იმავე ჩერნოგორიას ავღანეთში ჰყავს 18 ჯარისკაცი, საქართველოს მეგობარ უკრაინას, რომელიც ასევე ესწრაფვის ნატოში გაწევრებას — 10, ანუ, დიდი ანგარიშით, საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა არის ერთ-ერთი, მაგრამ არა უმთავრესი პირობა ალიანსში გასაწევრებლად. ეს საქართველოში, ცხადია, იციან, მაგრამ ავღანეთში მყოფი ქართული ქვედანაყოფის სავარაუდო შემცირების საკითხი პოლიტიკური სკანდალის თემად იქცა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ლამის მთელი ადმინისტრაციული ძალების მობილიზება დასჭირდა იმისათვის, რომ ეჭვები გაეფანტა.

„ერთ-ერთი მედიასაშუალებით გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს დღის წესრიგში ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში ნატოს ეგიდით მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის“ სამშვიდობო მისიაში მონაწილე ქართული კონტინგენტის რაოდენობის შემცირება დგას, სიმართლეს არ შეესაბამება. საქართველო საერთაშორისო უსაფრთხოებაში კონტრიბუციას იმ ფორმითა და ძალების რაოდენობით განაგრძობს, როგორც ის ავღანეთში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასა თუ მალიში ამ ეტაპზეა წარმოდგენილი“, — ნათქვამია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში, თუმცა იქვე, ტექსტში, წერია, რომ საქართველო მომავალში, პარტნიორებთან კონსულტაციების შემდეგ, არ გამორიცხავს ავღანეთში ამჟამად მყოფი ქვედანაყოფის კორექტირებას. **„ამ დროისთვის ამერიკელ, ნატოელ და სხვა დანარჩენ პარტნიორებთან ერთად ინტენსიური დისკუსიები მიმდინარეობს, რათა სამომავლოდ, 2019 წლისთვის, პროპორციულად, მაქსიმალური რაციონალურობითა და ეფექტურად გადავანიწილოთ შეიარაღებული ძალების შემადგენლობა როგორც შიდა გამოწვევების, ისე საერთაშორისო საჭიროებების გათვალისწინებით“,** — რაც სიტყვასიტყვით გაიმეორა 3 ივნისს საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლელა ჩიქოვანმა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში.

მაგრამ როდესაც ცნობილი გახდა, რომ საქართველომ შესაძლოა, 2019 წლიდან შეამციროს სამხედრო ქვედანაყოფი ავღანეთში, კერძოდ, მაზარი-შარიფში, სადაც გერმანული სარდლობის პასუხისმგებლობის ზონაში ქართული ბატალიონი იმყოფება, პირადად მე გამიჩნდა შეკითხვა: რა დაშავდება იმით, რომ საქართველომ გაანახევროს სამხედრო ქვედანაყოფი ავღანეთის „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში? დღეს არსებული 870 ჯარისკაცის ნაცვლად დატოვოს, ვთქვათ, 400? ამ შემთხვევაშიც კი საქართველო იქნება მეექვსე ადგილზე ქვედანაყოფის სიდიდით, ანუ ნატოს არაწევრი პატარა ქვეყანა, რომელსაც უამრავი გამოწვევა აქვს, სწორედ მცოცავი ანექსიისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე — აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში — რუსეთის სამხედრო ზრდის გამო, ავღანეთში 20-ჯერ უფრო დიდი ჯარით იქნება წარმოდგენილი, ვიდრე ჩერნოგორია, უკრაინა და ლამის ერთად აღებული ბალტიისპირეთის ქვეყნები.

ფეისბუქის ჩემს გვერდზე პოსტის სახით გამოქვეყნებულ ამ შეკითხვას რამდენიმე ცნობილი სამხედრო ანალიტიკოსის, წარსულში სამხედრო მაღალჩინოსნების, ასეთი გამოხმაურება მოჰყვა.

„ბრავო კობა ! ამ პოსტის გაზიარებას ვაჟკაცობა სჭირდება! (რა არის ამაში განსაკუთრებული, არ ვიცი - ავტ.) თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან 20 % მიდის სამშვიდობო ოპერაციებზე და ეს თანხა ბევრად აღემატება 100 მილიონ ლარს! და რომ შევინახოთ სამხედრო საზღვაო ძალები, წელიწადში საჭიროა 30 მილიონი ლარი“, — მომწერა გენერალ-ლეიტენანტმა **გურამ ნიკოლაიშვილმა,** საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილმა უფროსმა და არასამთავრობო ორგანიზაცია „გენერალთა კლუბის“ წევრმა.

ამ მოსაზრებას იზიარებს გენერალი **ამირან სალუქვაძეც,** სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი სარდალი, რომელიც ასევე მიიჩნევს, რომ **ავღანეთში საქართველოს ყოფნა ასეთი სიდიდის სამხედრო ქვედანაყოფით, არის გაუმართლებელი როგორც ფინანსურად, ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისით. „ბევრჯერ გვითქვამს: საკმაოდ დიდი კონტინგენტია მოწყვეტილი საბრძოლო მომზადებას, რაც ავტომატურად იწვევს აქ დარჩენილი კონტინგენტის მოცდენას“,** — დაწერა ჩემი ფეისბუქის გვერდზე ამირან სალუქვაძემ, თადარიგის გენერალ-მაიორმა, ავღანეთში ნატოს სარდლობით მოქმედ „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მყოფი სიდიდით მესამე ქართული ქვედანაყოფის სავარაუდო შემცირების საკითხზე 2019 წლიდან, რაც ზოგიერთმა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ლამის ისე წარმოადგინა, როგორც მოკავშირეთა ღალატი და ნატოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებზე უარის თქმა.

თუმცა, საკითხს თუ ემოციებისა და პოლიტიკური მიკერძოების გარეშე შევხედავთ, საქართველო ამ ქვედანაყოფის განახევრებით საბიუჯეტო თანხებს სერიოზულად დაზოგავს, უფრო მეტ ადამიანურ და ტექნიკურ რესურსს მოახმარს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განვითარებას და, ცხადია, არც მოკავშირეების წინაშე დარჩება პირშავად.

კობა ლიკლიკაძე

◎ სხვა გაზეთებიდან

გავრცელდება თუ არა სპარსეთის ყურის დიდი თამაშები კავკასიაზე?

ერევანმა და ბაქომ პოზიციები გამოხატეს, თბილისი დუმილს ინარჩუნებს

„კავკასია უკვე დიდი ხანია, იმყოფება რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირების ზონაში, რომლებსაც რეგიონში სხვადასხვა მიზნები აქვთ. ბოლო ხანს კავკასიით დაინტერესებას სპარსეთის ყურის ქვეყნებიც აქტიურად იჩენენ. ახლა კი, როცა ყატარს და მის მეზობლებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა გაწყდა, იბადება კითხვა — ხომ არ გადაიზრდება ეს სიტუაცია კავკასიაში დიდ თამაშებად?“ — ნათქვამია ამერიკულ გამოცემა „Eurasianet“-ის მიერ ჯოშუა კუჩერას და ემილ სანამიანის ავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაში.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის ქართულენოვან ვერსიას მცირეოდენი შემოკლებით:

ფაქტია, რომ სპარსეთის ყურისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. საუდის არაბეთის სახელმწიფო მინისტრი სპარსეთის ყურის საკითხებში ბოლო სამი თვის მანძილზე აზერბაიჯანს სამჯერ ეწვია: მისი პირველი ვიზიტი ბაქოში მარტში განხორციელდა — სულ ორიოდე კვირა იყო გასული ილჰამ ალიევის ყატარში ყოფნის შემდეგ. მეორე და მესამე ვიზიტი მაისში იყო. აღსანიშნავია, რომ საუდის არაბეთის ეს უწყება გასული წლის ოქტომბერში შეიქმნა აშკარად იმ მიზნით, რომ ერ-რიადს რეგიონის ქვეყნების მხარდაჭერა მოეპოვებინა ირანთან კონფლიქტში და, სავარაუდოდ, ყატართანაც. გარდა ამისა, ორიოდე თვის წინათ არაბულმა ემირატებმა სომხეთის პრეზიდენტს სერჟ სარგსიანს უმასპინძლეს საინვესტიციო კონფერენციის ჩარჩოებში, შემდეგ კი სომეხი ლიდერი ყატარში ჩავიდა.

არაბთა გაერთიანებული ემირატები უკვე დაფიქსირდნენ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინვესტორად, როცა ფოთის პორტი შეიძინეს — საინვესტიციო ორგანო „RAKIA“-მ პროექტში 155 მილიონი დოლარი გადაიხადა (თუმცა 2011 წელს პორტი გაყიდა შიდა დავების გამო). კიდევ ერთმა არაბულმა კომპანიამ თბილისში სასტუმროს მშენებლობაში 140 მილიონი დოლარი დააბანდა. ემირატების კომპანიები აზერბაიჯანსა და სომხეთში მსხვილ ინვესტორებად ითვლებიან: სულ ახლახან კომპანია „Ocean Holding LLC“-მა 100 მილიონი დოლარი განათავსა სომხეთის ჰელიოენერგეტიკის განვითარების პროექტში.

სპარსეთის ყურის ქვეყნების ტურისტები სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში დადიან. გასულ წელს ავიაკომპანია Qatar Airways ერთ-ერთი მსხვილი საერთაშორისო ავიაკომპანიაა, რომელიც პირდაპირ რეისებს რეგიონის სამივე ქვეყანაში ახორციელებს თითქმის ყოველდღე. არაბული ემირატების ლოუკოსტერებმა — Air Arabia-მ და Fly Dubai-მაც იგივე გააკეთეს. მოსალოდნელია, რომ მალე თბილისში რეისებს ბაჰრეინის ავიაკომპანია Gulf Air-ც დანიშნავს.

კავკასიის ქვეყნებიც აღებენ თავიანთ კარებს: 2016 წელს აზერბაიჯანმა სპარსეთის ყურის სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმი გაამარტივა — უფრო მეტად, ვიდრე, ვთქვათ, ირანთან და დასავლეთთან (ევროპასთან და აშშ-სთან). სომხეთი და საქართველო, რომლებთაც მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობასთან უვიზო რეჟიმი აქვთ დაწესებული, ასევე ისწრაფვიან სპარსეთის ყურის ქვეყნების ტურისტულ ბაზარზე შესასვლელად და მათთვის უვიზო რეჟიმი მოქმედებს (ერთი გამონაკლისით — სომხეთს უვიზო რეჟიმი არ აქვს საუდის არაბეთთან, მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობაც არ არის დამყარებული, რადგან მთიანი ყარაბაღის საკითხში ერ-რიადი მხარს ბაქოს უჭერს).

სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანას ოფიციალური კავშირები აქვთ როგორც ყატართან, ასევე სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებთანაც და, როგორც ჩანს, არც თბილისი, არც ერევანი და არც ბაქო ამჟამინდელი კრიზისის დროს არანაირ ანტიყატარულ აქტიურობას არ ამჟღავნებენ. სომხეთმა უკვე განაცხადა, რომ გააგრძელებს ყატართან მჭიდრო ურთიერთობას იმ სანქციების დროსაც კი, რომლებიც დოჰას ყურის სხვა ქვეყნებმა დაუწესეს. აზერბაიჯანმაც ასევე აღნიშნა, რომ ბალანსირებულ პოლიტიკას გაატარებს: **„ჩვენ ყატართან ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. რაც შეეხება ყატარის დამბლოკავებს... ერთმანეთთან მტრობა არ შეიძლება“,** — თქვა აზერბაიჯანელმა დეპუტატმა ტახირ ქერიმლიმ.

თბილისი ჯერჯერობით დუმილს ინარჩუნებს.

„ჟურნალისტ“ მუხთარლის ამბით „შეშფოთებულნი“

აფგან მუხთარლის გატაცების ამბავმა „შეძრა“ მთელი საქართველო. განსაკუთრებით შეშფოთდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია და, ცხადია, ყველა სახის ოპოზიცია, უმთავრესად „ნაციონალები“ და მისი ბუდიდან აფრენილი ახალი ვაი-პარტიები.

„მთელი საქართველო“ ვთქვი, თორემ საქართველოს მოქალაქეებს ბევრი სხვა რამ აწუხებთ და მუხთარლის ამბავი ისე აღელვებთ, როგორც შარშანდელი თოვლი. ხალხს ბევრი სოციალური პრობლემა დაუგროვდა, ვინაიდან ოჯახის გამოკვება და კომუნალური გადასახადები უპირველეს პრობლემად ექცა ბოლო წლების განმავლობაში. ამის მოგვარებას დიდი შრომა და საქმის ცოდნა სჭირდება ხელისუფლების მხრიდან.

არის პრეზიდენტი (მის აპარატიანად ოპოზიციაში მყოფი), არის პრემიერ-მინისტრი, არის პარლამენტი და მისი თავმჯდომარე, მაგრამ არ ჩანს მმართველობა (პრობლემური პროცესების მართვა). მეხუთე წელია, „საოცნებო“ ხელისუფლება ჰპირდება ხალხს უკეთეს ცხოვრებას, მაგრამ ასეთს პირი არ უჩანს. რაც ჩანს და გაზეთებში იწერება ისაა, თუ როგორ ილხენს რესტორნებში ადგილობრივი ხელისუფლება ბიუჯეტის ხარჯზე; როგორ დაახარჯა პარლამენტმა საკუთარ თავს პრემიების სახით სამ განვლილ თვეში 4 მილიონი ლარი — „კარგი“ მუშაობისთვის; როგორი მიღწევები აქვს ჩვენს დიპლომატიას საერთაშორისო არენაზე.

ხელისუფლება დიდად კმაყოფილია ამერიკაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტის ორგანიზებით. ეს ის ვიზიტი იყო, „თეთრი სახლის“ „ოვალურ“ კაბინეტში, აშშ-ს პრეზიდენტი ტრამპი სავარძელში რომ ზის, ხოლო ჩვენი პრემიერი მაგიდაზე ხელდაყრდნობილი, ღარიბი მეზობელივით რომ დგას.

საქართველო სწორედ ის ქვეყანაა, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტის სავარძლიდან „წამოდგომას“, მითუმეტეს სტუმრისთვის სკამის შეთავაზებას არ იმსახურებს. სამწუხაროდ, ასე თვლის „თეთრი სახლის“ პროტოკოლი.

საქართველოს პოლიტიკაში რომ არაფერი შეცვლილა, სწორედ კვირიკაშვილ-ტრამპის ფოტოსურათმა დაგვარწმუნა და კიდევ საქართველოს ხელისუფალთა განცხადებამ ტრამპთან დიალოგის კონსტრუქციულობის თაობაზე.

ზემოთ აღვნიშნე — არაფერი იცვლება-მეთქი და ასეც არის. კარგად გვახსოვს საერთაშორისო ღონისძიებებზე, სააკაშვილის წამიერი (ფეხზე დამდგარი) საუბარი აშშ-ს პრეზიდენტთან, სხვა ქვეყნების ლიდერებთან, როგორი პათოსით მოგვეწოდებოდა ჩვენი მედიის მიერ. ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნიდა მაშინდელი მედია და პოლიტიკა, თითქოს სააკაშვილს უცხოელმა მაღალჩინოსნებმა განუზომელი დრო და ენერგია დაახარჯეს.

რა გაეწყობა — რომ იტყვიან, ცუდი მაგალითი გადამდებია.

საწყენია, მაგრამ რას ვიზამთ, ჩვენ ხომ მზე და მთვარე ამერიკულ დემოკრატიაზე ამოგვდის? ჰოდა, არ უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც მუხთარლის ლამის საქართველოს გმირად გვისახელებენ ქართული მედიის „თვალსაჩინო“ წარმომადგენლები, ხმალამოღებულნი რომ იბრძვიან იმ „საშინელების“ გამოსამზეურებლად, მუხთარლის გატაცება და აზერბაიჯანზე გადაცემა, დამნაშავეების გამოვლინება და დასჯა, უპირველეს ყოვლისა, ზოგიერთი მინისტრის თანამდებობიდან გაძევება და ა.შ. რომ ჰქვია.

მუხთარლის ამბავი უმალ აიტაცა დასავლეთის მედიამ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, იქაური არასამთავრობოების აქ მოღვაწე ფილიალებმა, საქართველოში აკრედიტებულმა უცხოურმა დიპლომატიამ და შეიქმნა ერთი გნიასი, რომელიც გრძელდება. ქართული მედიის მოპროტესტე ნაწილი უმალ მიიღეს საქართველოში აშშ-ის ელჩმა იან კელიმ და ევროკავშირის ელჩმა იანუშ ჰერმანმა. მათი მხრიდან გაისმა დაპირება აღნიშნული თემის ხელისუფლებასთან განხილვის თაობაზე. ცნობილმა უცხოურმა ადამიანის უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ თბილისი და ბაქო თანაბრად არიან დამნაშავენი და პასუხისმგებლობას ვერ ასცდებიან.

ესეც ჩვენ! არადა, რამდენი უძილო ღამე გაატარეს ქართულმა პოლიტიკამ, მედიამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომ დასავლეთისთვის დაემტკიცებინათ — მზად ვართ გეი-პარადების, ერთნაირსქესიანთა ქორწინების და სხვა დასავლური „სიკეთეების“ ჩვენში დანერგვისთვის. და უცებ — მუხთარლი მუხთლად დაგვეცა თავზე! როგორ გამოვიდეთ ამ ვითარებიდან? როგორ დავუბრუნდეთ მუხთარლის გატაცებამდე არსებულ პერიოდს ისე, რომ ჩვენი

ამორჩეული ევროატლანტიკური გზა არ დაზიანდეს?

დიახ! საგონებელში ჩავარდა ხელისუფლება, რა ქნას, რა იღონოს? როგორ დაიძვრინოს თავი ამ არცთუ მარტივი საქმიდან ისე, რომ არც მწვადი დაწვას და არც შამფური?

ჩვენ ხომ ამერიკის ავადმყოფური პოლიტიკის მსხვერპლი ვართ.

როგორც ამბობენ, ყველაფერი შეთანხმებული იყო თბილისი-ბაქოს შორის და არვინ მოელოდა საქმის ასეთ განვითარებას. იმასაც ამბობენ, რომ საქართველოს ხელისუფლება არაფერ შუაშია და ის ფაქტის წინაშე დააყენა აზერბაიჯანის სპეცსამსახურმა.

თუ მართლაც ასეა, რა ვუყოთ სახელმწიფო საზღვრის გადალახვას? საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარს მხოლოდ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები ხომ არ აკონტროლებენ?

საქართველოს ხელისუფლება, ამ თვალსაზრისით, პასუხისმგებლობას ვერ აიცილებს. მუხთარლის საქმით არა მარტო ამერიკის საელჩო დაინტერესდა, არამედ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიც, ამდენად, მისგან თითის ქნევა გარდაუვალია.

აზერბაიჯანული პრესის მიხედვით, თბილისში თავი მოიყარეს იმ აზერბაიჯანულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებსაც აზერბაიჯანში არ დაედგომებათ. ისინი, ილჰამ ალიევის ხელისუფლებას ებრძვიან, ძალ-ღონეს არ იშურებენ აზერბაიჯანელი ხალხის ასაბუნტებლად.

თბილისი ის ადგილიცაა, სადაც აზერბაიჯანული ოპოზიცია ხვდება დასავლელ დიპლომატებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, იღებს მათგან ინსტრუქციებს და ფინანსურ დახმარებას ხალხის ხელისუფლებასთან დასაპირისპირებლად.

არის ამაში რაიმე გასაკვირი?

არც არაფერი. გავიხსენოთ კიევის მაიდანი და ანტიიანუკოვიჩური გადატრიალება, მეამბოხეების დოლარებით მომარაგება, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის ნულანდის მიერ აბუნტებულთათვის ფუნთუშების ჩამორიგების სიმბოლური აქტი, სენატორ მაკკეინის შეხვედრები უკრაინელ ამბოხებულებთან, ნულანდის განცხადება, რომ აშშ-მა 5 მილიარდი დოლარი დახარჯა უკრაინის „დემოკრატიისთვის“.

გავიხსენოთ „ვარდების რევოლუციაც“, სხვა „ფერად-ყვავილოვანი“ რევოლუციები. მათ უკან რომ დასავლეთი იდგა, თვით დასავლეთმა აღიარა და რა გასაკვირია, რომ ანალოგიური მოხდეს აზერბაიჯანის ხელისუფლების წინააღმდეგ?

აზერბაიჯანი სწორედ ისაა, ვისთანაც აშშ-ს ჯერჯერობით არაფერი გაუვიდა. მან ზეგავლენა ვერ მოახდინა ალიევზე. ამ უკანასკნელმა კი აშშ აიძულა, გაეწვია მისი ელჩი ბრაისა აზერბაიჯანიდან — საშინაო საქმეებში ჩარევის გამო. ეს ის ბრაისაა, რომელიც უხეშად აფათურებდა ხელს საქართველოს საშინაო საქმეებში სააკაშვილის დროს.

აზერბაიჯანული პრესა სინანულით გვაუწყებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, მეგობარი სახელმწიფოს მტრები არ უნდა ხარობდნენ. ამ პუბლიკაციებიდან ირკვევა, რომ აზერბაიჯანული მხარე კმაყოფილი არ არის ქართველთა უსაქციელობით.

ზემოთ აღვნიშნე, რომ საქართველოს ხელისუფლება ორ ცეცხლშუა იმყოფება — აქეთ აზერბაიჯანის ხელისუფლება, იქით დასავლეთი, რომელმაც აიყოლია ქართული მედია და ხელისუფლების კარს მიაყენა. „ვიდრე საქმე არ გაირკვევა, აქციას არ შევწყვეტთო“, - აცხადებს „აბუნტებული“ ქართული გადაგვარებული მედია.

როგორც ამბობენ, ისიც შეკვეთით, ცხადია, დასავლურით და შესაბამისი მატერიალური დაინტერესებით „იკლავს“ თავს მუხთარლიზე, თორემ „თავის მოსაკლავ“ პრობლემებს რა გამოლევს საქართველოში? მარტო მძიმე დემოგრაფიული ვითარება რად ღირს?!

მონაცემების მიხედვით, 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს შობადობა შემცირებულია 2680 ახალშობილით. 1989 წელს საქართველოს მოსახლეობა ხუთნახევარ მილიონს შეადგენდა, ამჟამად სამნახევარი მილიონია სომეხთა და აზერბაიჯანელთა ჩათვლით.

აღნიშნულის თაობაზე, გარდა პროფესორი ანზორ თოთაძისა, არავინ წერს, ისე როგორც უმძიმეს სოციალურ პრობლემებზე, მითუმეტეს არავინ უწყობს საპროტესტო „მივარდნებს“ ხელისუფლებას.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, რომელსაც ვერც აშშ, ვერც ევროპა, ვერც ევროკავშირი და ვერც ნატო ვერ მოგვიგვარებს, რუსეთის კეთილი ნების გარდა, სამწუხაროდ, არავინ არ ფიქრობს რუსეთთან კეთილმეზობლური და კეთილგონიერი ურთიერთობის აღდგენა-დალაგებაზე. ხელისუფლება ნაბიჯს არ დგამს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ოდნავ მაინც გასაუმჯობესებლად, რაც შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს.

2008 წლის მწარე გაკვეთილებმა ვერაფერი გვასწავლა, ჩვენ არათუ სხვის შეცდომებზე არ ვსწავლობთ, არამედ საკუთარზეც.

განა ეს არ არის მედიის საქმე?

მუხთარლი პრობლემაა, მაგრამ გაცილებით მეტი პრობლემებია საქართველოში, რომლებიც სწორედაც რომ მედიის მტკიცე პოზიციას და მუდმივ მუშაობას მოითხოვს ამ საკითხების გამოსამზეურებლად, ხელისუფლების შესაწუხებლად, მაგრამ მათ ასეთ ქმედებას დასავლეთი რომ არ აფინანსებს?

ომარ მარგველაშვილი,
პროფესორი

მუხთარლის საქმეზე ევროპარლამენტში მისაღები რეზოლუცია აზერბაიჯანს ეხება

15 ივნისს, ევროპარლამენტში აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის საკითხზე რეზოლუციის პროექტის მიღება იგეგმება. როგორც ევროპარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, აფგან მუხთარლის საქმესთან ერთად განხილული იქნება აზერბაიჯანში მედიის მდგომარეობის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, უმრავლესობის წევრი

ირინა ფრუიძე აცხადებს, რომ რეზოლუცია ძირითადად აზერბაიჯანში ადამიანის უფლებებსა და მედიის თავისუფლებას შეეხება

„რა თქმა უნდა, აფგან მუხთარლის საკითხი ჩვენი იმიჯისთვის არ არის სასიამოვნო და მე იმედი მაქვს, რომ მსგავსი რამ აღარასდროს განმეორდება, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დაწყებულია გამოძიება და იმედი მაქვს, ნათელი მოეფინება ამ საქმეს“, — განაცხადა ფრუიძემ.



ომის დროს ჯარისკაცები ბაგრამიანის სარდლობით პირველები გავიდნენ ბალტიკასთან. მან გადაწყვიტა, გაეხარებინა სტალინი, ჩაასხა ბოთლში წყალი ბალტიის ზღვიდან და უბრძანა თავის ადიუტანტს გაფრენილიყო ამ ბოთლით მოსკოვში უმაღლესთან, ისიც გაფრინდა. მაგრამ სანამ მიფრინავდა, გერმანელებმა უკან დაახევინეს ბაგრამიანს ბალტიის სანაპიროდან. ადიუტანტმა კი ამის შესახებ არაფერი იცოდა. და აი, ამაყი ადიუტანტი შედის სტალინის კაბინეტში და პათოსით აცხადებს:

— ამხანაგო სტალინ, გენერალი ბაგრამიანი გიგზავნით ბალტიკის წყალს!

სტალინი, რომელმაც უკვე იცის მომხდარის შესახებ, ხელში ატრიალებს ბოთლს რამდენიმე წამით, რის შემდეგაც უბრუნებს მის ადიუტანტს და ეუბნება:

— დაუბრუნეთ ეს ამხანაგ ბაგრამიანს, დაე, მან დალიოს იგი ბალტიის ზღვაში.

* * *

მსახიობ ირაკლი ანდრონიკოვს კარგად შეეძლო სხვადასხვა მოღვაწეების პაროდირება. განსაკუთრებით ამგვანებდა სტალინს, რომელსაც ამის შესახებ უამბეს. მწერლებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე სტალინმა დაინახა ი.ანდრონიკოვი და მივიდა მასთან:

— ამხანაგო ანდრონიკოვ, ამბობენ, კარგად გამოგდით ჩემი პაროდირება. გვიჩვენეთ, თუ შეიძლება.

— თქვენ — ვერ ვბედავ! — თქვა ანდრონიკოვმა და გააკეთა უარყოფითი ჟესტი ხელში წარმოსადგენი ჩიბუხით...

* * *

დიდ თეატრში ამზადებდნენ გლინკას ოპერა „ივან სუსანინის“ ახალ დადგმას. მოისმინეს კომისიის წევრებმა თავმჯდომარე ბოლშაკოვის მეთაურობით და გადაწყვიტეს, რომ უნდა გადაიღონ ფილმი „დიდება შენდა, რუსო ხალხო!“: ეკლესიურობა, პატრიარქალობა...

მოახსენეს სტალინს.

— ჩვენ სხვაგვარად მოვიქცევით: ფინალს დავტოვებთ, ბოლშაკოვს კი მოვხსნით.

* * *

ერთხელ, როდესაც განიხილავდნენ პურის მიწოდებას 1930-იანი წლების დასაწყისში, ერთ-ერთი ოლქის მდივანმა იხუმრა, როდესაც საუბრობდა იმაზე, რომ მის ოლქს არ შეუძლია მეტი ხორბლის მიწოდება:

— როგორც ფრანგები ამბობენ, ყველაზე ლამაზ ქალსაც არ შეუძლია იმაზე მეტის მიცემა, რაც მას აქვს.

სტალინმა მას შეუსწორა:

— მაგრამ მას შეუძლია ორჯერ მიცემა.

* * *

კაგანოვიჩმა სტალინს წითელი მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი წარუდგინა. მაკეტზე გადაადგილებადი კონსტრუქციებით შეიძლებოდა გენახა ყველაფერი უკიდურეს წვრილმანებამდე. სტალინი ინტერესით ათვალიერებდა მაკეტს, კაგანოვიჩი კი უყვებოდა რეკონსტრუქციის გეგმების შესახებ, გადააადგილებდა ძველი შენობების მაკეტებს და ახალ მშენებლობებს. სტალინი წყნარად უსმენდა. კაგანოვიჩმა თავისებურად ახსნა მდუმარება, და თავისებურად გაშმაგდა, და გადავიდა მთავარზე — ვასილ ნეტარის ტაძრის შენობის გადატანის შესახებ. მან ხელი გაიშვირა შენობის მინიატიურული მაკეტისკენ და უმალვე გაიგონა: „დატოვე ტაძარი ადგილზე“.

ამით განხილვა დამთავრდა (ეს არის არა ანეკდოტი, არამედ რეალური ისტორია).

* * *

ჩვეულებრივად, პოლიტბიუროს სხდომის წინ სტალინი ზრუნავდა გემრიელი მაგიდისთვის. დაუძახა სოლოვოვს, შესთავაზა ეშოვა ჟრუნები (ე.წ. რიაბჩიკები). ტუკოვთან ერთად წავიდნენ პლეშჩეევოს ტბაზე, სადაც მამაცი ჟრუნები სპეციალურად მოდიოდნენ დასაჭერად... ფრონტული კანონადით და აზარტული ხმაურით დააგროვეს ნანადირევის ხროვა. სტალინმა დაიწყო მათი დათვლა, პოლიტბიუროს თითოეული წევრის გათვალისწინებით. ამას — ჟრუნი, მეორეს — ჟრუნი, მესამეს ჟრუნი, ხოლო როდესაც ხრუშჩოვამდე მივიდა, ამოიხვნეშა:

— იმას, ცხადია, ორიც არ ეყოფა...

* * *

ერთხელ კრემლში ბანკეტზე, როცა მომენტი იყო, სახელგანთქმულმა მომღერალმა ივან სიმონის ძე კოზლოვსკიმ მიმართა სტალინს:

— ამხანაგო სტალინ, არასოდეს ვყოფილვარ საზღვარგარეთ, ძალიან მინდოდა წავსულიყავი...

— და არ გაიქცევით?

— რას ამბობთ, ამხანაგო სტალინ, მე ჩემ მშობლიურ სოფელს მთელ უცხოეთზე ვერ გავცვლიდი!

— როგორ კარგადა თქვით. აი, წაბრძანდით მშობლიურ სოფელში.

* * *

და კიდევ აი ერთი ისტორია, რომელიც დაკავშირებულია დიდ ტენორთან. სტალინს უყვარდა მუსიკა. კონცერტებს, რომლებიც იმართებოდა კრემლში, განსაკუთრებით ვოკალისტების მონაწილეობით, ის დიდი ინტერესით ეკიდებოდა, ტაშს უკრავდა მსახიობებს. კოზლოვსკის ერთ-ერთი გამოსვლის დროს, პოლიტბიუროს ზოგიერთმა წევრმა ხმამაღლა დაიწყო თავისი სურვილის გამოთქმა, რომ მან იმღეროს ძველი საყვარელი ხალხური სიმღერა. სტალინმა მშვიდად, თუმცა ხმამაღლა თქვა:

— რას ვერჩით ამხანაგ კოზლოვსკის. დაე, შეასრულოს, რაც თავად სურს. მას კი სურს შეასრულოს ლენსკის არია ჩაიკოვსკის ოპერიდან „ევგენი ონეგინი“.

ყველას ერთხმად გაეცინა, მათ შორის კოზლოვსკისაც. მან უმალვე იმღერა ლენსკის არია.

* * *

ვიძვათ, რომ სტალინი ყოველთვის ხუმრობდა სიკეთით, ნიშნავს წავიდეთ ჭეშმარიტების წინააღმდეგ. როგორც ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც აქვს იუმორის გრძნობა, ის მას იყენებდა სხვადასხვა ხერხებით. მათ შორის ძალიან თავისებურად. ამის შესახებ თავის მოგონებებში გვიამბო ცნობილმა კარიკატურისტმა ბორის ეფიმოვმა. ის საუბრობს თავის ძმაზე — ცნობილ საბჭოთა ჟურნალისტზე მიხეილ კოლცოვზე, რომელიც 1937 წლის საპირველმაისო დღესასწაულზე დაბრუნდა მოსკოვში სამოქალაქო ომში ჩაბმული ესპანეთიდან.

„კოლცოვი ცოტა ხნით ჩამოდის საბჭოთა კავშირში. ბელარუსის ვაგზალზე მას, როგორც ამბობენ, „მთელი მოსკოვი“ ხვდება — ჟურნალისტებიც, მწერლებიც. ესპანეთში თავგანწირული ბრძოლის ანარეკლი დიდების შარავანდედით ეფინება „პრავდის“ სპეციალურ კორესპონდენტს. ის ყველას ყურადღების ცენტრშია. კრემლში მას გადასცემენ იმ დროისთვის საკმაოდ იშვიათ საბრძოლო წითელი დროშის ორდენს. კრემლის გეორგიევსკის სასახლის ტრადიციულ საპირველმაისო მიღებაზე იქ გაჟღერებულ მრავალ სადღეგრძელოს შორის იყო სადღეგრძელოც, რომელიც სამხედრო საქმეების სახალხო კომისარმა წარმოთქვა.

— იცით, ამხანაგებო, — თქვა კლიმენტ ეფრემის ძე ვოროშილოვმა, — რომ ამჟამად ესპანეთში ომია. დაძაბული, მძაფრი ომი. იქ სხვადასხვა ერები იბრძვიან. იბრძვიან იქ ჩვენებიც, რუსებიც. გთავაზობთ, ამხანაგებო, ასწიოთ ბოკალები ესპანეთში ჩვენი ხალხის წარმომადგენლის, აქ მყოფი ამხანაგის მიხაილ კოლცოვის სადღეგრძელოდ...

იმ დღეებში კოლცოვზე, როგორც იტყვიან, ნადირობა იყო გამოცხადებული: ის საუბრობდა თავისი ესპანური შთაბეჭდილებების შესახებ სხვადასხვა აუდიტორიაში. მაგრამ ყველაზე სერიოზული ამ აუდიტორიიდან იყო, უსათუოდ, მათგან ყველაზე მცირერიცხოვანი — სულ ხუთი კაცი. ესენი იყვნენ სტალინი და მასთან ყველაზე დაახლოებული პირები — მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ეჟოვი. შეკითხვებმა კოლცოვისადმი ესპანეთში სამხედრო და პოლიტიკური სიტუაციის სხვადასხვა დეტალებზე და მისმა დასაბუთებულმა პასუხებმა სამი და მეტი საათი დაიკავა. ბოლოს და ბოლოს, საუბარი დასასრულს მიუახლოვდა.

— და აქ, — მითხრა მისმა ძმამ იმავე საღამოს, — მან დაიწყო რაღაც ახირებულობა. გაჩერდა ჩემ გვერდით, ხელი გულზე მიიდო და ქედი მოიხარა.

— რა, უნდა ესპანურად გადიდოთ? მიგელი თუ რა!

— მიგელი, ამხანაგო სტალინ, — ვუპასუხე მე.

— მაშ ასე, დონ მიგელ. ჩვენ, კეთილშობილი ესპანელები გულითადად გიხდით მადლობას თქვენი საინტერესო მოხსენებისთვის. ნახვამდის, დონ მიგელ. ყოველივე კარგს გისურვებთ.

— ვემსახურები საბჭოთა კავშირს, ამხანაგო სტალინ!

გავეშურე კარისკენ, მაგრამ მან კვლავ მიმიხმო, და გაიმართა რაღაც უცნაური საუბარი:

— გაქვთ რევოლვერი, ამხანაგო კოლცოვ?

— მაქვს, ამხანაგო სტალინ, — გაოცებით ვუპასუხე მე.

— მაგრამ თქვენ ხომ არ აპირებთ, იმით თავი მოიკლათ?

— რა თქმა უნდა, არა, — კიდევ მეტი გაოცებით ვუპასუხე მე, — აზრადაც არ მომსვლია.

— და აი, ეს შესანიშნავია, — თქვა სტალინმა. — ბრწყინვალეა!

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ამხანაგო კოლცოვ. ნახვამდის, დონ მიგელ“.

* * *

აი, კიდევ სტალინის შავი იუმორის ორი ნიმუში. ომის დროს (!) რამდენიმე წლის განმავლობაში ბელადი თავს აბეზრებდა ერთ-ერთ მარშალს შეკითხვით, თუ რატომ არ დააპატიმრეს ის 1937 წელს. ის ვერ ასწრებდა პირის გაღებას, რომ სტალინი მკაცრად უბრძანებდა: „შეგიძლიათ წახვიდეთ!“ და ასე გრძელდებოდა რამდენჯერმე. მარშლის მდგომარეობის, ვფიქრობ, აღწერა საჭირო არაა.

დადგა გამარჯვების დღე. სტალინი სამხედრო ხელმძღვანელების გარემოცვაში წარმოთქვამს სიტყვას:

— გვქონდა მძიმე დროც, სასიხარულო გამარჯვებებიც, მაგრამ ჩვენ ყოელთვის შეგვეძლო ხუმრობა. ასე არაა, მარშალო? — დაასახელებს თავისი „ხუმრობების“ ობიექტის გვარს.

* * *

სტალინს ძალიან მოსწონდა ლიუბოვ ორლოვა — ფილმების „მხიარული ახალგაზრდობას“, „ვოლგა-ვოლგას“ გმირი. ერთხელ მან მიიწვია ის ქმართან — რეჟისორ გრიგორი ალექსანდროვთან ერთად.

სხედან, საუბრობენ ყველაფერზე... უეცრად სტალინი ორლოვას ეკითხება:

— რა, თქვენი ქმარი ხშირად გაბრაზებთ?

— არა, იშვიათად.

სტალინი ღიმილის გარეშე:

— უთხარით მას (ის კი გვერდით უზის), რომ ჩვენ მას ჩამოვახრჩობთ. ასევე იშვიათად. მხოლოდ ერთხელ.

ორლოვა უკვე შეშინებული:

— რაზე, ამხანაგო სტალინ?

სტალინი აუღელვებლად:

— კისერზე, — უპასუხა და გაიცინა.

* * *

ომის შემდეგ ნ.ა. ბულგანინი დანიშნეს თავდაცვის მინისტრად და ის აღლუმის მიღებისთვის ემზადებოდა — რომ ესწავლა ცხენზე ჯდომა. მას მოუყვანეს ყველაზე თვინიერი ფაშატი, და მარშალი ვარჯიშობდა კრემლის ეზოში. გამოვიდა სტალინი, შეხედა და უთხრა:

— შენ ზიხარ ცხენზე, როგორც სამხედრო სავაჭრო ობიექტის უფროსი.

ამის შემდეგ შეწყვიტეს აღლუმების მიღება ცხენებზე, იღებდნენ ავტომობილებზე.

* * *

ომისშემდგომ პირველ წელს ფინანსთა მინისტრმა ა. ზვერევმა, შეშფოთებულმა მთელი რიგი დიდი მწერლის მაღალი ჰონორარებით, მოამზადა შესაბამისი მოხსენებითი ბარათი და გაუგზავნა იგი სტალინს. მან ითხოვა მიეწვიათ მასთან ზვერევი.

როდესაც მინისტრი შევიდა კაბინეტში, სტალინმა, ისე რომ არ შეუთავაზებია დაჯდომა, უთხრა:

— როგორც ჩანს, ჩვენ გვყავს მილიონერი მწერლები? საშინლად ჟღერს, ამხანაგო ზვერევა. მილიონერი მწერლები?

— საშინელია, ამხანაგო სტალინ, საშინელი, — დაუდასტურა მინისტრმა.

სტალინმა მიაწოდა ფინანსისტს საქაღალდე მისი მომზადებული წერილით და თქვა:

— საშინელებაა, ამხანაგო ზვერევ, რომ ასე ცოტა მწერალი — მილიონერი გვყავს! მწერლები — ეს ერის ხსოვნაა. რას დაწერენ ისინი, თუ მშივრები იცხოვრებენ?

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114-115

„შევცვლით უკრაინას, ბოლოს მოვუღებთ პუტინს და ვიხსნით კავკასიას“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ საკაშვილი აცხადებს, რომ „გაზპრომის“ უმსხვილესმა აქციონერმა ივანიშვილმა დაშალა ქართული არმია და ქართული კონტრდაზვერვა“ და „არჩევნების გაყალბებით ხელთ იგდო ძალაუფლება“. ოდესის ოლქის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი, რომელიც ოპოზიციაში უდგას უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს, დარწმუნებულია, რომ ის და მისი თანამოაზრეები „შეცვლიან უკრაინას, ბოლოს მოუღებენ პუტინს და იხსნიან მთელ კავკასიას“. გაგაცნობთ რამდენიმე მოსაზრებას, რომლებიც მიხეილ სააკაშვილმა „რადიო თავისუფლების“ ჩრდილოეთკავკასიურ სამსახურს ექსკლუზიურ ინტერვიუში გაუზიარა.

„აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტების წინააღმდეგ მიმდინარე ომში რამდენიმე ასეული პროფესიონალი ქართველი სამხედრო იბრძვის. მათგან 12-13 ქართველი ოფიცერი უკვე დაიღუპა. ბევრ მათგანს პირადად ვიცნობდი, ამიტომ ეს ჩემი პირადი ტრაგედია და ტრავმაა“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებაში ჩეჩნების როლსაც შეეხო და განაცხადა, რომ „ჩეჩნების მონაწილეობა ძალიან ფასეული აღმოჩნდა“.

„პუტინმა უკრაინაში შეაგზავნა კადიროვის მომხრე დაქირავებული მებრძოლები და ის, რომ უკრაინას ჩეჩნები იცავენ, კარგად წარმოაჩენს თავად ჩეჩნებს. რუსეთის იმპერიის ბედი წყდება უკრაინაში, მათ შორის წყდება ჩეჩენი ხალხისა და საქართველოს ბედი და ჩეჩენი მამაკაცები და ქალები, რომლებიც აღმოსავლეთ უკრაინაში ომობენ, ჩეჩნეთის თავისუფლებისთვისაც იბრძვიან. ეს ჩემში არავითარ ეჭვს არ იწვევს. ჩვენ შევცვლით უკრაინას, ბოლოს მოვუღებთ პუტინს და ვიხსნით მთელ კავკასიას“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს უკრაინის პრეზიდენტმა 2015 წლის მაისში უკრაინის მოქალაქის წოდება მიანიჭა და ოდესის ოლქის ადმინისტრაციის უფროსად დანიშნა. 2016 წლის ნოემბერში სააკაშვილმა თანამდებობა დატოვა და მალევე შექმნა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი ძალების რუხი“, რომელიც სასტიკად აკრიტიკებს უკრაინის ხელისუფლებას და პრეზიდენტ პოროშენკოს ქვეყანაში გამეფებული კორუფციისა და კლანური მმართველობის გამო.

მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც ოფიციალურად კვლავ ითვლება ოპოზიციური „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერად საქართველოში, ინტერვიუში ვრცლად ისაუბრა საქართველოს დღევანდელობაზე.

საქართველოს ყოფილი ლიდერი აცხადებს, რომ **ქვეყანაში კვლავ გამართულად მუშაობენ ძირითადად ის სახელმწიფო სტრუქტურები, რომელთა რეფორმირება მისი მმართველობის დროს მოხდა - საგადასახადო და მართლწესრიგის სიტემები და ის სამსახურები, რომლებიც მოქალაქეებს ემსახურებიან“.**

სააკაშვილის თქმით, **„საქართველოში ძალიან დაბალ დონეზეა კორუფცია და კარგ მდგომარეობაშია მისი გუნდის მიერ დატოვებული და შექმნილი“.**

ამასთან, იგი წუხს, რომ **„პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო ფართოვდება ნაპრალი, რაც ხელისუფლების ცვლილებამ გამოიწვია“.**

„რეალურად, ერთმა ოლიგარქმა ყველაფრის პრივატიზება მოახდინა. ეს არის „გაზპრომის“ უმსხვილესი აქციონერი ივანიშვილი. მან, პირველ რიგში, დაშალა ქართული არმია და ქართული კონტრდაზვერვა, ანუ ის ინსტიტუტები, რომელთა არსებობაც რუსეთს აღელვებდა. და დაიწყო რუსეთთან ისეთი საკითხების გარშემო თანამშრომლობა, რაზეც არ უნდა მიდიოდეს დამოუკიდებელი და თავისი ქვეყნის მოყვარული ადამიანი. და უკვე პირველმა ბზარმა იჩინა თავი კორუფციის სახით. მეორე, რაც მე მაღელვებს, არის ის, რომ იგი რეალურად აყალბებს არჩევნებს და, როგორც ნამდვილი ოლიგარქი, განაგრძობს ძალაუფლების მითვისებას. მაგრამ ვფიქრობ, რომ ხალხი ამას დიდხანს არ მოითმენს, რადგან საქართველოს ხალხმა ერთხელ უკვე სცადა შეეცვალა ცხოვრება“, — განაცხადა საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა.

სააკაშვილის ეს განცხადებები დაემთხვა ქართული არმიისა და სახელმწიფოს სხვა შეფასებას, რომელიც უკრაინის თავდაცვის მინისტრ ალექსანდრ პოლტარაკს ეკუთვნის. **უკრაინის თავდაცვის მინისტრმა, რომელიც 7 ივნისს ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში, „ძალიან მნიშვნელოვანი“ უწოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამოცდილებას, რომელიც ქვეყანას ევროინტეგრაციის პროცესში დაუგროვდა, და მადლობა გადაუხადა საქართველოს ხელისუფლებას ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უკრაინისათვის აღმოჩენილი დახმარებისათვის.**

ცნობილია, რომ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც უკრაინაში პოლიტიკური გაერთიანება „ახალი ძალების რუხის“ ლიდერია, მკაცრად ილაშქრებს თავის საჯარო გამოსვლებსა და საავტორო სატელევიზიო გადაცემა „სხვა უკრაინაში“ თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში გამეფებული კორუფციის წინააღმდეგ. ცოტა ხნის წინათ სააკაშვილმა განაცხადა, რომ უკრაინის პრეზიდენტი აპირებს, ჩამოართვას მას უკრაინის მოქალაქეობა, რაც არაკონსტიტუციურია. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, რომელმაც საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, 2013 წლის ბოლოს დატოვა სამშობლო, საქართველოში სისხლის სამართლის რამდენიმე, მათ შორის სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით არის ბრალდებული.

რადიო „თავისუფლება“

„რუსთავი-2“: მედია, ფული და ძალაუფლება

(მეორე გვერდიდან)

როგორც ირკვევა, ბოლო კრებაზე დამფუძნებლები ჟურნალისტებს ვერაფერს დაჰპირდნენ. მათ შორის ვერც ხელფასების დარიგებას, რადგან ყველაფრით ჩანს, ახლა უკვე იმაზე ფიქრობენ, როგორ „გამოიყვანონ“ საქმიდან საკუთარი ინვესტიცია რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგით. საინტერესო ისაა, გაუძლებენ თუ არა ცდუნებას, თუკი ბატონი ბიძინა შესთავაზებს ინვესტიციების „გადარჩენას?“

ყარამანიშვილთა ეს მოტივაცია რომ რეალურია, იქიდანაც ჩანს, რომ „ხალვაშისა და სხვათა“ სარჩელისთანავე ცდილობდნენ ტელევიზია კეზერაშვილის „ცოლისძმისთვის“ მიეყიდათ, თუმცა მაშინ არ გამოვიდა.

* * *

მეორე ნიშანდობლივი „დამთხვევაა“, რომ განხეთქილება (თანაც ტელეკომპანიისთვის კრიტიკულ მომენტში, როცა „სტრასბურგმა“ ნებისმიერ დღეს შეიძლება დაიწყოს საქმის განხილვა) მოხდა სწორედ მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება თბილისის მერობაზე ზალიკო უდუმაშვილის ნომინირების შესახებ.

ნიკა გვარამია ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მისი აზრით, ეს „ნომინირება“ შეიძლება კიდეც იყოს სასარგებლო „ნაციონალური მოძრაობისთვის“, მაგრამ დამაზარალებელია თვით ტელეკომპანიისთვის და ამაში გვარამია ნამდვილად არ ცდება.

ოღონდ მიშას და მის გუნდს ახლა სხვა პრიორიტეტები აქვთ. შესაბამისად, ეს უთანხმოება, თუ ცნობილ „სპიკერთა“, მათ შორის ქალბატონ ჩერგოლეიშვილის განცხადებებს დავაკვირდებით, ბუნებრივად გადაიზრდება „ნაციონალებსა“ და „ევროპელ დემოკრატებს“ შორის „კლინჩში“. უკვე ისმის კიდეც ნარატივი: **„გვარამიას უნდოდა ტელევიზიას არა მხოლოდ „ნაციონალთა“ ინტერესებში ემოქმედა, არამედ ყველა პროდასავლური ძალისა, მაგრამ მიშას ეს არ მოსწონდა...“**

ამგვარი დასკვნა მთლად უსაფუძვლო როდია: ჯერ კიდევ 2016 წლის წინასაარჩევნო პერიოდში, ნიკა გვარამიას საინფორმაციო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი იყო „თავისუფალი დემოკრატების“ გაპიარება თითქმის იმავე დონეზე, რაც „ნაციონალური მოძრაობისა“; ეს სააკაშვილს აშკარად ძალიან არ მოსწონდა, რადგან სურდა ერთადერთ ოპოზიციური ძალა მომავალ პარლამენტში სწორედ მისი პარტია ყოფილიყო, რასაც მიაღწია კიდეც... ოღონდ მეტისმეტი აქტიურობით, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა ცნობილი განხეთქილება პარტიაში და „ნაციონალური მოძრაობის“ ფაქტობრივი დაშლა.

* * *

ზემოხსენებული პოლიტიკური წინააღმდეგობები და უთანხმოებები ფინანსურ პრობლემებზე არანაკლებ არსებითია. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რას წარმოადგენს (უკვე ტრადიციულად) ტელეკომპანია „რუსთავი ორი“: სინამდვილეში, კლასიკური „მედია“ იგი არასდროს ყოფილა, ანუ არასდროს ყოფილა ხელისუფლება (ე.წ. „მეოთხე ხელისუფლება“), რომელიც check and balances ერთ-ერთი ინსტიტუტის ფუნქციას ასრულებს ნორმალურ საზოგადოებაში, რისი აუცილებელი პირობაცაა პოლიტიკური ელიტებისაგან თანაბრად გამიჯვნა — მათი „პოზიცია-ოპოზიციურობის“ მიუხედავად.

„რუსთავი-2“, რეალურად, სწორედ პოლიტიკური გავლენისა და ძალაუფლების ინსტრუმენტი იყო. ალბათ, სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რაკი საქართველოს მწირ სარეკლამო ბაზარზე ტელევიზიას მხოლოდ ორი ურთიერთდაკავშირებული მეთოდით შეეძლო თავის შენარჩუნება: მაღალი რეიტინგით, რისი ტექნოლოგიაც მუდმივ „სკანდალიზმსა“ და ნეგატივზე ორიენტაციას გულისხმობდა... შესაბამისად, გაბოროტებული ხელისუფლებისა და პროსახელისუფლებო ელიტებისგან თავის დასაცავად, ალტერნატიულ ელიტებთან მჭიდროდ დაკავშირება ხდებოდა აუცილებელი — უსაფრთხოებისა და დაცულობის გარანტიათა მისაღებად.

ეს კავშირი, საბოლოოდ, 2001 წლის მოვლენებიდან ჩამოყალიბდა, როდესაც შევარდნაძის ელიტებმა „რ-2“ განადგურება გადაწყვიტეს კონტრაბანდის საბაბით და ეს ტელევიზია მაშინ სწორედ „ახალგაზრდა რეფორმატორთა“ გუნდმა გადაარჩინა. მეტისმეტი გულუბრყვილობა იქნებოდა იმის იმედად ყოფნა, „ჟვანია-მიშას“ გუნდი პოლიტიკურ ლოიალობას არ მოითხოვდა და ტელევიზიას საკუთარი გავლენის (შემდეგ უკვე ძალაუფლების) ინსტრუმენტად არ აქცევდა.

თუ ამ ყოველივეს დავუმატებთ ძალიან, ძალიან დიდ ფულს (ასეულობით მილიონს) რაც დაახლოებთ 1998-1999 წლიდან ტრიალებს „რუსთავი-2“-ში ან მის გარშემო (იგულისხმება მსხვილი ბიზნესპროექტების „პოლიტიკური უზრუნველყოფა“, რისი გენიოსიც იყო ეროსი კიწმარიშვილი), ნათელი ხდება, რატომ მიმდინარეობს ესოდენ გააფთრებული, „ბრეხტისეულად დრამატული“ ბრძოლა ამ ტელევიზიისთვის და რატომ არ მოეშვებიან მას მანამ, სანამ არსებობს... ისევე, როგორც არ მოეშვებიან ლამაზ ქალბატონს, სანამ საბოლოოდ არ გახუნდება და არ დაკარგავს სილამაზეს ან არ მოკლავენ ურთიერთდაპირისპირებისას

თუ „რუსთავი-2“ ამ პროცესებს შეეწირა, ეს სერიოზული დანაკარგი იქნება ქვეყნისთვის: წმინდად პროფესიული, პრომოუტერული, მხატვრული და ჟურნალისტურ-ტექნოლოგიური თვალსაზრისით იგი, უდავოდ, საუკეთესო ქართული ტელევიზიაა! ბოლო 20 წლის განმავლობაში „რუსთავი ორი“ ნამდვილად იქცა ქართული კულტურის (არა მხოლოდ პოლიტიკური ლანდშაფტის, არამედ ზოგადად კულტურის) მნიშვნელოვან ნაწილად. ამიტომ მისი დანგრევა და გაქრობა ქართული ელიტების სრული უპასუხისმგებლობის, ეგოიზმისა და უზნეობის კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინება გახდება.

ნიკა იმნაიშვილი

თურქეთი იზმირის ყურეში ხიდისა და წყალქვეშა გვირაბის მშენებლობას გეგმავს

ხიდი და გვირაბი მეგაპოლისის გარშემო მთლიან ჯაჭვს შეკრავს და ქალაქში ავტოსაგზაო მოძრაობას განტვირთავს. პროექტის ღირებულება მინისტრს არ დაუკონკრეტებია. პროექტის წინასწარი დასეხელება კი Izmir Gulf Passage იქნება.

მინისტრმა ასევე ისაუბრა ერზერუმსა და პროვინცია რიზეს შორის გვირაბის მშენებლობაზეც, რომელიც საქართველოსთან, კონკრეტულად ბათუმთან ახლოს მდებარეობს. მისი თქმით, Mount Ovit Tunnel-ი ახალი სავაჭრო ხაზის ჩამოყალიბებას დაუდებს სათავეს და თურქეთის სამხრეთ ნაწილს ქვეყნის ცენტრალურ პროვინციებთან საზღვაო მიმოსვლის გაქტიურებას შეუწყობს ხელს. გვირაბის სიგრძე სულ 14,3 კმ იქნება და ის ქვეყნის მასშტაბით სიდიდით მეორე გვირაბი გახდება New Mount Zigana Tunnel-ის შემდეგ.

ლიტვაში ნატოს მასშტაბური სამხედრო წვრთნები დაიწყო

ლიტვაში ნატოს მასშტაბური სამხედრო წვრთნები დაიწყო. სწავლებები სახელწოდებით „რკინის მგელი 2017“ რუკლესა და პობრადის პოლიგონებზე ტარდება და მასში 5 ათას 300 სამხედრო მოსამსახურეა ჩართული. ერთობლივი წვრთნები 24 ივნისს დასრულდება.

იტალიის მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ ადგილობრივი არჩევნები პირნმინდად ნააგო

იტალიის წამყვანმა ოპოზიციურმა პარტიამ „5 ვარსკვლავის მოძრაობამ“ ადგილობრივ არჩევნებში გამანადგურებელი მარცხი განიცადა. ეგზიტპოლის მონაცემებით, პარტია მეორე ტურში ვერ გადავიდა. ადმინისტრაციული არჩევნები იტალიის ათასამდე კომუნასა და ქალაქში ჩატარდა. ადგილობრივი მცხოვრებლები საოლქო ადმინისტრაციის დეპუტატებს ირჩევდნენ. არჩევნების მეორე ტური 25 ივნისს გაიმართება.

◎ კულტურათა დიალოგი

მერაბ მერაბიშვილისა და ომარ ელდაროვის ქანდაკებების ფოტოგამოფენა გაიხსნება

ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“, რომელიც ახორციელებს კულტურულ-სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტებს, გლობალიზაციის პირობებში ხელს უწყობს თვითმყოფადი, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის მიღწევების წარმოჩენას თანამედროვე მსოფლიოში, კულტურათა ურთიერთდაახლოებას — საქართველოს კულტურის ფონდთან, საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და აზერბაიჯანის ხელოვნების ეროვნულ მუზეუმთან ერთად 16 ივნისს 17 საათზე სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში წარმოგიდგენთ ორი მოძმე ქვეყნის — აზერბაიჯანისა და საქართველოს თვალსაჩინო, მაღალავტორიტეტულ, ნაყოფიერ ხელოვანთა, სახალხო მხატვრების მერაბ მერაბიშვილისა და ომარ ელდაროვის მიერ შექმნილი ქანდაკებების ფოტოგამოფენას.

მოქანდაკეთა მრავლისმომცველი შემოქმედება ამშვენებს როგორც თბილისსა და ბაქოს, ასევე სხვა ქალაქებს, მრავალი მუზეუმისა და გალერეის საგამოფენო დარბაზებს.

მერაბ მერაბიშვილისა და ომარ ელდაროვის ქანდაკებების ფოტოვერსიების ერთ საგამოფენო სივრცეში ექსპონირება მრავალი პარამეტრით არის მნიშვნელოვანი, საინტერესო, ვინაიდან დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა, გაიცნოს ეს ნამუშევრები, თვალი გაადევნოს შემოქმედთა სტილისა თუ ხელწერის განვითარების მიმდინარეობას, ასევე ერთ ეპოქაში სხვადასხვა გეოგრაფიულ სივრცეში არსებულ შემოქმედებით მიდგომებს, ხედვებს და ა.შ.

მერაბ მერაბიშვილისა და ომარ ელდაროვის გამოფენის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ქართველ და აზერბაიჯანელ მხატვართა შემოქმედების პროპაგანდა, ქართველ მხატვართა ნამუშევრების აზერბაიჯანში წარდგენის ხელშეწყობა, საზოგადოების მეტად ჩართვა აღნიშნულ პროცესებში, რაც თავის მხრივ ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“-ის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. უფრო ფართოდ კი, ასოციაციის მიზანია ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს პოპულარიზაციას თანამედროვე მსოფლიოში, საერთაშორისო კონტაქტების განმტკიცებას, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე მიღწევების საყოველთაო გავრცელებას, სხვა ხალხთა კულტურებთან დაახლოებას და მათი მიღწევების ჩვენებას საქართველოში, შემოქმედებითი ინოვაციების, ნიჭიერი ახალგაზრდობის წარმოჩენას და მხარდაჭერას...


მერაბ მერაბიშვილი

ომარ ელდაროვი

გამოფენის მთავარ გმირებს მერაბ მერაბიშვილს და ომარ ელდაროვს ფართო საზოგადოებრიობისთვის წარდგენა არ ესაჭიროებათ, თუმცა, მაინც შეგახსენებთ მათი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მნიშვნელოვან მომენტებს:

მერაბ მერაბიშვილი დაიბადა თბილისში 1931 წელს. 1955 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ქანდაკების განხრით. აქტიურად დაიწყო მუშაობა 1959 წლიდან, სამხატვრო აკადემიის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ. 1961 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის ოქროს მედალი. ამავე წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში პედაგოგად, 1978 წლიდან — პროფესორად; 1991-2004 წლებში იყო ხატვის კათედრის გამგე. მონაწილეობა აქვს მიღებული და გაიმარჯვა არაერთ ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონკურსში. 1970-იან წლებში გაიმარჯვა მოსკოვში, ზელენოგრადის რაიონში, ლენინის ძეგლის დასადგმელად გამოცხადებულ საკავშირო (საბჭოთა კავშირი) კონკურსში. 1974 წელს მერაბ მერაბიშვილი ბულგარეთში დაჯილდოვდა გ. დიმიტროვის ოქროს მედლით. 1980 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება. მერაბ მერაბიშვილი 1988 წლიდან არის რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრი, 1996 წლიდან კი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი. 2001 წელს დაჯილდოვდა რუსეთის სამხატვრო აკადემიის ოქროს მედლით. 2002 წლიდან თბილისის საპატიო მოქალაქეა. მოქანდაკის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნამუშევართა რიგს განეკუთვნება — ალექსანდრე გრიბოედოვი (თბილისი, 1961), ერეკლე II (თელავი, 1971), პეტრე ბაგრატიონი (თბილისი, 1984; მოსკოვი, 1999), შოთა რუსთაველი (კოტე მერაბიშვილთან ერთად, ბუდაპეშტი, 2011).

ომარ ელდაროვი დაიბადა დერბენტში 1927 წელს. 1951 წელს დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის ილია რეპინის სახელობის ფერწერის, ქანდაკებისა და არქიტექტურის ინსტიტუტი. 1946 წლიდან მონაწილეობდა არაერთ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პერსონალურ და ჯგუფურ გამოფენაში. 1962 წელს მიენიჭა აზერბაიჯანის დამსახურებული მხატვრის წოდება. 1980 წელს დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიით, 1982 წელს კი აზერბაიჯანის სახელმწიფო პრემიით პროკოფი ჯაფარიძის ბაქოში დადგმული მონუმენტისათვის, ამავე წელს მიენიჭა აზერბაიჯანის სახალხო მხატვრის წოდება. 1995-2000 წლებში იგი აზერბაიჯანის მილი მეჯლისის დეპუტატი იყო. მოქანდაკე რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრია 1988 წლიდან, ხოლო 2001 წლიდან აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. ომარ ელდაროვი აზერბაიჯანის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორია 2001 წლიდან დღემდე. ომარ ელდაროვი დაჯილდოებულია ჰეიდარ ალიევის პრიზით, აზერბაიჯანის დიდების ორდენით და სხვა ჯილდოებით. მისი განსაკუთრებით ცნობილი ნამუშევრებია: ნათავანი, ფიზული, ნიაზი, მაჰათმა განდი, ჰუსეინ ჯავიდი.

მერაბ მერაბიშვილისა და ომარ ელდაროვის ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა გაიხსნება 16 ივნისს 17 საათზე სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში, ექსპოზიცია ერთი კვირის მანძილზე გაგრძელდება.

ზურაბ ოიკაშვილი

◎ გამოიცა

წიგნი ომზე, რომელიც არ უნდა ყოფილიყო

„ჩემს პატარა შვილიშვილებს: ზოიას და მაქსს. იმედი მაქვს, როცა ისინი გაიზრდებიან, აქ აღწერილს წაიკითხავენ, როგორც ფენტეზის, — არა იმიტომ, რომ „ეს არ შეიძლება არასოდეს მოხდეს“, არამედ იმიტომ, რომ ეს არასდროს არ უნდა მოხდეს...“ უამრავი მიძღვნა წამიკითხავს უშესანიშნავესი კლასიკოსების, გინდაც ჩვეულებრივი, სხვათაგან ბევრად არაფრით განსხვავებული მწერლების; ნაწარმოებებზე წამძღვარებული, მაგრამ ამგვარი იშვიათად.


ეროპორტი
ეროპორტი
ეროპორტი

◎ წინ, საქართველოვ!

ბაადურ ჯობავა ევროპის ვიცე-ჩემპიონია

მინსკში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის მე-18 ჩემპიონატი (საპრიზო ფონდი 100.000 ევრო), რომელშიც შვეიცარიული სისტემით 11 ტურად 38 ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელი იბრძოდა მედლებისთვის. მათ შორის რვა ქართველი გახლდათ. შესანიშნავად იასპარეზა დიდოსტატმა ბაადურ ჯობავამ, რომელსაც მსგავსი პირველობების ვერცხლისა (2010 წელი, რიეკა, ხორვატეთი) და ორგზის ბრინჯაოს (2009 წელი, ბუდვა, მონტენეგრო, 2016 წელი, ჯაკოვა, კოსოვო) მედალი ჰქონდა მოპოვებული. ბელარუსის დედაქალაქში მან რვა პარტია მოიგო, ერთი ყაიმით დაასრულა, ორი შეხვედრა წააგო და 8.5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა ბოლო ორთაბრძოლა რუს მაქსიმ მატლაკოვთან. შუა თამაშისთვის ჩვენებურმა თეთრი ფიგურებით აშკარად უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ მე-40 სვლაზე შეცდომა დაუშვა და მეტოქეს პოზიციის გათანაბრების საშუალება მისცა - პარტია ყაიმით დასრულდა. მატლაკოვმა, ჯობავამ და ვლადიმირ ფედოსეევმა (რუსეთი) 8.5-8.5 ქულა მოაგროვეს. უკეთესი კოეფიციენტით მატლაკოვმა ჩემპიონობა მოიხვეჭა, ხოლო ჯობავამ და ფედოსეევმა მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს.

ქართველ მოჭადრაკეთა საბოლოო შედეგები: 2. ბაადურ ჯობავა (8.5 ქულა), 68. ზურაბ სტურუა (7), 71. ლუკა პაიჭაძე (6.5), 73. დავით ჯოჯუა (6.5), 80. თამაზ გელაშვილი (6.5), 89. მიხეილ მჭედლიშვილი (6.5), 103. თორნიკე სანიკიძე (6.5), 130. ლევან ფანცულაია (6), 196. მერი არაბიძე (5.5), 232. ნოე თუთისანი (5).

ლექსო ცინცაძე

◎ ნიჩბოსნობა

დუშელის უნგრული ჯილდოები

ნიჩბოსან ქალთა მსოფლიოს თასის ეტაპზე, რომელიც უნგრულ სეგედში დამთავრდა, დუშელმა მარიამ ქერდიკაშვილმა კანოეთი ორი მეორე ადგილი დაიკავა. 500 მეტრზე ჯერ საკვალიფიკაციო ეტაპზე (2.18,691, მეორე ადგილი), მერე – ნახევარფინალში (2.16,448, ფინიშთან პირველი იყო) იყოჩაღა. გადამწყვეტ რაუნდში ცხრა სპორტსმენი იბრძოდა პირველობისთვის. ქერდიკაშვილმა ვერცხლის მედალი (2.12,085) მოიპოვა. „ოქრო“ კანადელ ვინსენტ ლაპოინტს ერგო, გერმანელმა ანიკა ლოსკემ კი (2.13,139) მესამე ადგილი დაიკავა.



ქერდიკაშვილმა 2000-მეტრიანი დისტანცია 10 წუთსა და 28,161 წამში დაფარა, რამაც მას მეორე ვერცხლის მედალი მოუტანა. ქართველ სპორტსმენს ანიკა ლოსკემ (10.24,768) აჯობა, ხოლო ფინიშთან მესამე იყო ჩინელი ჯინ ვანი (10.28,899). მარიამმა 200-მეტრიან დისტანციაზეც სცადა ძალები და ფინალში მხოლოდ მეშვიდე ადგილს (51.549) დასჯერდა, არადა, ნახევარფინალში მეორე (50,854) ადგილი დაიკავა.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

ვილას უნდა მოვუგოთ?!

ალბათ, „მუნდიალ – 2018“-ის საკვალიფიკაციო ეტაპს მოუგებლად დავასრულებთ, რაც აქამდე არ მომხდარა – უმაღლესი რანგის სანაკრებო ტურნირების შესარჩევ რაუნდებში აქამდე ერთი შეხვედრა მაინც გვაქვს ჩვენს სასარგებლოდ დამთავრებული.

ნავსის გატეხვის რეალურ შანსად ბევრს კიშინიოვის „ზიმბრუს“ სტადიონზე მოლდოვასთან დანიშნული საპასუხო მატჩი მიაჩნდა და ოპტიმიზმის საფუძვლად მასპინძელთა ლიდერის გაცკანის არყოფნას ასახელებდა, რომელმაც თბილისში ულამაზესი გატანილი გოლით დაგვამახსოვრა თავი, მაგრამ რატომღაც მათ არ დაბადებიათ კითხვა: რატომ უნდა დაგვეჩოქებინა სტუმრად ის მეტოქე, რომელსაც საკუთარ სარბიელზე ვერ დავაყრევინეთ ფარ-ხმალი. და კიდევ: თუ ტრანსილვანიელებს ზემოთნახსენები საკვანძო ფიგურა აკლდათ, „ჯვაროსნებს“ ლორია, ანანიძე, ოქრიაშვილი და მჭედლიძე ვერ ეხმარებოდნენ (აღარაფერს ვამბობთ წვრილფეხობაზე). დაგვეთანხმებით, ანგარიშგასაწევი ფაქტორებია.

მოლდოვა – საქართველო 2:2 (2:0)

გოლები: გინსარი, დედოვი; მერაბიშვილი, ყაზაიშვილი.

კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ფეხბურთის სათამაშოდ რესურსები მხოლოდ ერთი ტაიმის განმავლობაში გვყოფნის და ამ შემთხვევაში კოკა წყალს, ბუნებრივია, ვერ მოიტანს. მეტიც, მოვლენები ისე განვითარდა, რომ ქულაც კი სანატრელი გაგვიხდა.

ის, რომ მდგომარეობის გამოსწორება შევძელით, რასაკვირველია, ბიჭების ბრძოლისუნარიანობასა და ფსიქოლოგიურ სიმტკიცეზე მეტყველებს. არანაკლებ დასაფასებელია მწვრთნელ ვლადიმერ ვაისის ალღო, რომელმაც ამჯერადაც შედეგიანი ცვლილებები განახორციელა – კუნძულელებთან (სენტ კიტსი და ნევისი) ამასწინანდელი სპარინგისა არ იყოს, მხსნელი ბურთები გასულ კვირასაც ბრძოლაში შესვენების შემდეგ ჩაბმულებმა გაიტანეს.

და ბოლოს: შვედ მსაჯთა ბრიგადამ უხეში შეცდომა დაუშვა, როცა მოლდოველთა მეორე გოლი ჩათვალა (ამ ეპიზოდში ბურთმა გვერდითი ხაზი გადაკვეთა). და მაინც, ასეთი „იაღლიშის“ მიუხედავად, ვალდებულნი ვიყავით სამშობლოში გამარჯვებულნი დავბრუნებულიყავით. თუმცა, საამისოდ, ეტყობა, სხვა რამეები და ვინმეებია საჭირო.

ირლანდია – ავსტრია 1:1, სერბეთი – უელსი 1:1.

სერბეთი, ირლანდია, – 12-12, ავსტრია, უელსი – 8-8, საქართველო – 3, მოლდოვა – 2 ქულა.

2 სექტემბერს ითამაშებენ: საქართველო – ირლანდია, სერბეთი – მოლდოვა, უელსი – ავსტრია.

გიორგი შოთაძე

◎ ფარიკაობა

დააფასეს

გასულ უქმეებზე თბილისში, რომელიც მოფარიკავეთა კონტინენტის პირველობას მასპინძლობს, ევროპის ფარიკაობის კონფედერაციის კონგრესი გაიმართა, რომელმაც ამ ორგანიზაციის (პრეზიდენტია სტანისლავ პოზდნიაკოვი) **აღმასკომი აირჩია.** მის შემადგენლობაში შევიდა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი დავით სახვაძე. აღმასკომმა ქართველი სპეციალისტი, რომელიც ევროპელ მსაჯთა კომისიას უხელმძღვანელებს, ვიცეპრეზიდენტად დაამტკიცა.

თამაზ პატარიძე

◎ ტაბლო

ჭიდაობა

კარტოზია – ბალავაძის სახელობის ტურნირი

ეს პრესტიჟული ასპარეზობა 6-წლიანი პაუზის შემდეგ გაიმართა თბილისის სპორტის სასახლეში, სადაც მასპინძლებმა 25 მედალი მოიპოვეს – 8 ოქრო, 4 ვერცხლი და 13 ბრინჯაო.

ჩემპიონთა გალერეა

თავისუფალი ჭიდაობა.

ლომთაძე, ყველაშვილი, პეტრიაშვილი (საქართველო), ალიევი, გოსტიევი (აზერბაიჯანი), ეკბადი, მოჯთაბა (ირანი), ფრანგულიანი (სომხეთი).

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ბოლქვაძე, კელასოვი, კობლიაშვილი, ნადარეიშვილი, ქაჯაია (საქართველო), აინგულოვი, კალენოვი (ყაზახეთი), ჩალიანი (სომხეთი).

რაგბი

ივნისის ტესტები. კანადა – საქართველო 0:13. **მერაბ კვირიკაშვილი** – ლელო, გარდასახვა და 2 საჯარიმო. **დავით კაჭარავა** – მე-100 კეპი.

წყალბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი. „დინამო“ (თბილისი) – „თბილისი“ 11:10. შეგახსენებთ, რომ საკავშირო ჩემპიონატებისა და სპარტაკიადების მრავალგზის პრიზიორი 22-წლიანი შესვენების შემდეგ ღადგინეს და, აჰა, პირველი ტიტულიც!

ჰოკეი

ნჰლ. ფინალი. „ნეშვილი“ – „პიტსბურგი“ 0:2 (სერიის ანგარიში 2:4). „პიტსბურგმა“ ზედიზედ მეორედ, სულ კი მეხუთედ მოიგო სტენლის თასი.

ფეხბურთი

20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. ინგლისი – ვენესუელა 1:0. ეს ბრიტანელთა პირველი ტრიუმფია.

ჩოგბურთი

როლან გაროსი

ქალები. ფინალი. ელენა ოსტაპენკო (ლატვია) – სიმონა ჰალეპი (რუმინეთი) 4:6, 6:4, 6:3.

ვაჟები. ფინალი. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) – სტენ ვავრინკა (შვეიცარია) 6:2, 6:3, 6:1. გრუნტის მეფემ ისე მოიგო მე-10(!) როლან გაროსი, რომ ერთი სეტიც კი არ წაუგია და სულ 35 გეიმი დათმო. ეს მისი მე-15 დიდი სლემია და მხოლოდ როჯერ ფედერერს ჩამორჩება (18).

ავტოსპორტი

ფორმულა 1. კანადის დიდი პრიზი.

1. ლუის ჰემილტონი (დიდი ბრიტანეთი, „მერსედესი“), 2. ვალტერი ბოტასი (ფინეთი, „მერსედესი“), 3. დანიელ რიკარდო (ავსტრალია, „რედ ბული“).

საერთო ჩათვლა. სებასტიან ფეტელი (გერმანია, „ფერარი“) – 141 ქულა, ჰემილტონი – 129 ქულა, ბოტასი – 93 ქულა.

კონსტრუქტორთა თასი. „მერსედესი“ – 222 ქულა, „ფერარი“ – 214 ქულა, „რედ ბული“ – 112 ქულა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

არც ერთი დღე უსიყვარულოდ

როგორც იქნა, დასრულდა ჭორები და მანიპულაციები იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ არის და ვინ უნდა ყოფილიყო პორტუგალიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ სუპერვარსკვლავის – კრიშტიანუ რონალდუს რჩეული. პორტუგალიელმა მეგოლემ საბოლოოდ მაინც გამოამზეურა თავისი შეყვარებული.



პრინციპში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რონალდუს გულისსწორის ვინაობა ესპანეთის ბულვარულმა მედიამ ადრევე იცოდა, რადგან კრიშტიანუ მოდელ ჯორჯინა როდრიგესთან უკვე რამდენიმე თვეა მეგობრობდა და ამ ასულთან პორტუგალიელი სხვადასხვა გლამურულ ალაგებშიც არაერთხელ დალანდეს, მასთან ერთად გამოცხადდა ზამთარში ფიფას გალა-დაჯილდოებაზეც, თუმცა, აქამდე ამ ურთიერთობაზე საუბარს ორივე მათგანი ერიდებოდა.

ჯორჯინა თავისი საქმისა და თუნდაც პოპულარობის კუთხით ჯერ ნამდვილად ვერაა კრიშტიანუს ყოფილ სატრფოზე – ირინა შეიკზე მეტად წარმატებული, მაგრამ ამ გოგოს ყველაფერი წინა აქვს და რონალდუს გულის მოგება რომ ავტომატურად „ყვითელი“ მედიის ცხოველ ინტერესს ნიშნავს – ეს იგივე ირინა შეიკის მაგალითითაც ნათლად გამოჩნდა.

როსტომ რაჭველიშვილი

გამოსათხოვარი

მანუჩარ ლანჩავა

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 86 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და ღვაწლმოსილი ინჟინერი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **მანუჩარ ლანჩავა**.

ბატონი მანუჩარი მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა საქართველოს ინდუსტრიალიზაციის საქმეს, იგი იყო სამრეწველო სადნობი დანადგარების გაზიფიკაციის ერთ-ერთი მოთავე, ლითონგამომშვებ ღარში ლითონის დამუშავების ინიციატორი, მეტალურგიულ ქარხნებში ბანდაჟირებული ბოყვების ფართო ჩანერგვის მონაწილე და მრავალი სხვა, როგორც ახლა ამბობენ, ინოვაციის ავტორი.

განსაკუთრებულია მანუჩარ ლანჩავას დამსახურება თხევადი ფოლადის ღუმელგარეშე დამუშავების პრობლემის გადაჭრაში, რისთვისაც ბატონ მანუჩარს კოლეგებთან ერთად 1987წ. საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. იმისათვის რომ ეს, ერთი შეხედვით ბუნდოვანი დასახელება საზოგადოებისათვის გასაგები გახდეს, გავკადნიერდებით და მცირე რეტროსპექტულ მიმოხილვას და სათანადო განმარტებას გავაკეთებთ.

ფოლადი, როგორც წესი, მარტენის ღუმელში, ბესემერში, ელექტრორკალურ ღუმელში და მსგავს სადნობ აგრეგატებში მიიღება. დნობის პროცესის ფინალურ ეტაპზე „მოხარშული“ ფოლადის რაფინირებას ახდენენ. როგორც კარგი დიასახლისი შეაზავებს კერძს, ისე მეფოლადე საჭირო ელემენტაბით „შეაზავებს“ გამდნარ ფოლადს. ეს მძიმე, შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია. რაფინირებულ ფოლადს უზარმაზარ ციცხვში ჩამოასხამენ, რის შემდეგ იგი დანიშნულებისამებრ მომხმარებელს მიეწოდება ფოლადის ნაგლინის (მილი, შველერი, ფურცელი და სხვა პროფილის ნაკეთობანი) ან საჩამოსხმო დეტალების საწარმოებლად.

ხანგრძლივი თეორიული გამოკვლევების შედეგად, ბატონმა მანუჩარმა და მისმა მიმდევრებმა დაადგინეს, რომ შესაძლებელია, ღუმელის ნაცვლად ციცხვში მოვახდინოთ ფოლადის რაფინირება. 1983წ. ოქტომბერში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში ჩატარდა, ამ მეტად ორიგინალური და თამამი მოსაზრების პირველი საქარხნო-სამრეწველო გამოცდა, რაც გულისხმობდა საჭირო კომპონენტებით შეზავებული ინერტული აირით 250-ტონიან ციცხვში გამდნარი ლითონის გაბერვას. ამ პროცედურას ინჟექციური დამუშავება ეწოდება, რაც გულისხმობს თხევადი ფოლადის ღუმელგარეშე დამუშავებას.

მიღებულმა შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: იძულებითმა ცირკულაციამ ხელი შეუწყო ციცხვის მთელ მოცულობაში ტემპერატურისა და ლითონის ქიმიური შედგენილობის გათანაბრებას, მავნე მინარევების შემცირებას, განჟანგვის პროდუქტების აწიდვას და შედეგად ფოლადის ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ტექნოლოგია გამოირჩევა სიმარტივით, უნივერსალობით და ეფექტურობით. მეთოდი ამცირებს ფოლადის რაფინირებისათვის საჭირო დროს და საშუალებას იძლევა სასურველ ზღვრებში შევცვალოთ ფოლადის შედგენილობა ფხვნილოვანი რეაგენტების შებერვით, რაც მის თვითღირებულებაზე აისახება.

სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის 16.08.87 წელს გამოცემული № 172 ბრძანებით ზემოაღნიშნული ტექნოლოგია უმალ დაინერგა ყოფილი საბჭოთა კავშირის წამყვან მეტალურგიულ საწარმოებში და მას რუსთავის მეთოდი ეწოდა.

ფოლადის „გაკეთილშობილების“ ამ მეთოდმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა, ხოლო 1987 წელს დასავლეთ გერმანულმა ფირმამ „კრუპ პოლიზიუსმა“ შეიძინა ლიცენზია აღნიშნულ ტექნოლოგიურ მეთოდზე. აქვე საზოგადოებას შევახსენებთ, რომ „კრუპი“ ფოლადის უდიდესი მწარმოებელია მსოფლიოში და ამ სფეროში ძირითადი კანონმდებელიც.

მანუჩარს მისი წარმატებული პროფესიული საქმიანობის გამო მეგობრების წრეში რკინის მკვნეტელად მოიხსენიებდნენ. ეს „წოდება“ მის პიროვნებას ჭეშმარიტად უხდებოდა. იგი იყო ეროვნული ენერგიით დამუხტული, რაინდული თვისებებით შემკული უაღრესად სათნო პიროვნება, ადრეულ წლებში წარმატებული სპორტსმენი, ბრგე აღნაგობისა და გამორჩეული ჯანის პატრონი, მოსიყვარულე მეუღლე, ორი გამორჩეული ვაჟის მამა, ბრწყინვალე შვილიშვილების ბაბუა და უღალატო მეგობარი. ძალიან უნდოდა მოსწრებოდა მესამე შვილთა შვილს, ვაგლახ ვერ მოესწრო.

ინსტიტუტის მთელი შემადგენლობა ამ მცირე, ფრაგმენტული მოსაგონარით ემშვიდობება ბატონი მანუჩარის მაღალ სულს.

სანთელი

მეუღლე თამუნა სულაძე, შვილები ანა, გიორგი წერეთლები, მამა ვახტანგ წერეთელი, დედა დალი კობერიძე, დები რუსუდან, ანა წერეთლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 13, 14 VI, მის. დოლიძის ქ. მე-13 კორპუსი, გამოსვენება 15 VI, 15 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.

მეუღლე თამუნა სულაძე, შვილები ანა, გიორგი წერეთლები, სიმამრი იური სულაძე, სიდედრი ინგა კალანდარიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

ბიძა ავთანდილ წერეთელი, ბიცოლა ნანა ხუნდაძე, ბიძაშვილი ვახტანგ წერეთელი, რძალი ქეთევან ჯაფარიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

ბიძა ზურაბ წერეთელი, ბიცოლა ელზა ჩხიკვიშვილი, ბიძაშვილები ნინო, ეკა წერეთლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

ბიცოლა ინა წერეთელი, ბიძაშვილები მაია, ივა წერეთლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

ბიძაშვილი ვახტანგ წერეთელი, რძალი ქეთევან ჯაფარიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

ლალი ჩხეიძე, გივი, სანდრო ჯაფარიძეები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ვახტანგ წერეთელს უსაყვარლესი შვილის

ლევანის

გარდაცვალების გამო.

შვილი ლევანი, რძალი თამუნა შამათავა, შვილიშვილი ანდრია, ძმები ჟორა, ნუგზარ, გურამ ახალაიები, დები ციალა, ცუცა, ნანული, თეზიკო ახალაიები, რძლები დარეჯან ორჟონია, მაია ბარაბაძე, სიძე იმედი შეროზია, მაზლები ჯეირან, ცეზარ, ბესიკ, თემურ, ზურაბ ჩანგელიები, მული დალი ჩანგელია, ძმისშვილები, დისშვილები, მაზლიშვილები იუწყებიან

ზაირა აკაკის ასული ახალაია-ჩანგელიას

გარდაცვალებას.
პანაშვიდი 14, 15, 16 VI, დაკრძალვა 17 VI, 15 სთ.
მისამართი: ქ. ზუგდიდი, ბენდელიანის ქ. 32.

ძმა გურამი, რძალი მაია ბარაბაძე, ძმისშვილები ნინო, აკაკი ახალაიები, სიძე ლევან კენჭაძე, რძალი სოფო მუსერიძე მწუხარებით იუწყებიან

ზაირა აკაკის ასული ახალაია-ჩანგელიას

გარდაცვალებას.
პანაშვიდი 14, 15, 16 VI, დაკრძალვა 17 VI, 15 სთ.
მისამართი: ქ. ზუგდიდი, ბენდელიანის ქ. 32.

განცხადება

2017 წლის 04 აგვისტოს, 15:00 საათზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან - საბას ქ. №106), გაიმართება ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფერთაკარის მიმდებარედ, ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალურ საბადოზე წყალსაცავის მოწყობის პროექტის „ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიწისქვეშა წესით დამუშავებისათვის საჭირო 27 300 $მ^3$ მოცულობის წყალსაცავის გარემოზე ზემოქმედების შეფასება“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს 27 300 $მ^3$ მოცულობის წყალსაცავის მოწყობა.

– საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

– შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ოფისში, (მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქუჩა III შესახვევი, №1; ბოლნისის მუნიციპალიტეტი სოფ. ბერთაკარი; ტელ: 599 920 051).

– ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. №106; ტელ: 0358222555).

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა, დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: **ნინო გურამიშვილი** (ტელ:599 920 051)
ადმინისტრაცია **ვახტანგ აბაშმაძე**

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3.

29 3-13-34;

599 797679

GEO HOLDING

გადავიხდით თქვენს კრედიტს საქართველოს ნებისმიერ ბანკში.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:

ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323; 557 575 811

geo-holding.net

სამუშაო საათები:

ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20.00 სთ-მდე

შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

ვულოცავთ!

სათნო ქალბატონი, ღირსეული დედა, თვალსაჩინო მოღვაწე

ქალბატონი ლიანა შეწირული ეროვნული განათლების სისტემის აღიარებული მოღვაწე და ღირსეული მამულიშვილია, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედებითი საქმიანობა საქართველოს ახალგაზრდების აღზრდას მიუძღვნა; თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწესთან კიტა შავიშვილთან ერთად შექმნა სანიმუშო ოჯახი, სახელოვანი მამულიშვილები აღუზარდა ქვეყანას.

ქალბატონი ლიანას მომხიბვლელობა, სინაზე და სიმტკიცე, ბუნებისგან მომადლებული ნიჭი, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, ცოდნის ჩარხზე გალესილი ჭკუა, თავმდაბლობით დამშვენებული ცხოვრება, საზოგადოების წინაშე მაღალი პასუხისმგებლობა ერთ მთლიანობაში ქმნიან კოლორიტი ქართველი ქალის, დედის, მეუღლის, ბებიის, საერთოდ, ეროვნული გაგების დედაკაცის რეალურ სახეს. ვამაყობთ, რომ ქალბატონი ლიანას თანამედროვენი ვართ.

მხნეობას და ჯანმრთელობას ვუსურვებთ ჩვენს მეგობარს; საქვეყნოდ ვუხდით მადლობას, რომ შემართებით იცავს მაღალი ღირსებებით შემკული ქართული ოჯახის ტრადიციებს, რაც თანამედროვე პირობებში ზნეობრივი გმირობის ტოლფასია.

კიდევ მრავალი დაბადების დღე მიგველოცოს მისთვის.

გიორგი ნაჭყებია, ნოდარ ჭითანავა, ანზორ გაბუხადია

◎ გამოფენა

„როცა დასრულდება ომი...“

„ავდეევკა, 28.01/72“ – ასე ეწოდება ცნობილი უკრაინელი ფოტოხელოვანის დიმიტრი მურავსკის ნამუშევართა გამოფენას, რომელიც გუშინ, 9 ივნისს საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის საბჭოთა ოკუპაციის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია უკრაინის ქალაქ ავდეევკაზე წლეულს იანვარში განხორციელებული მასობრივი დაბომბვის დროს გადაღებული 24 ფოტონამუშევარი, რომლებიც უკრაინელმა ფოტოგრაფმა და მოხალისემ დიმიტრი მურავსკიმ გადაიღო. თავად ფოტოხელოვანი სამხედრო ფოტოგრაფიის მიმართულებით უკვე შვიდი წელია, მუშაობს.

აღსანიშნავია, რომ ფოტოგამოფენა „ავდეევკა, 28.01/72“ პროექტის „როცა დასრულდება ომი...“ ფარგლებში იმართება. ეს მრავალფუნქციური მოხალისეობის პროექტი საზოგადოების მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრაზეა ორიენტირებული, რომელიც დონბასში სამხედრო ოპერაციების ჩატარებას უკავშირდება.

საგულისხმოა, რომ პროექტის „როცა დასრულდება ომი...“ ფარგლებში ფოტოგამოფენები იმართება როგორც თავად უკრაინაში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც – საქართველოში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, შვედეთში.

გამოფენა 19 ივლისის ჩათვლით გასტანს.

ლალი ხუნდაძე



◎ შეხვედრა მწერალთა სახლში

ენრიკო ჯანელიძის შემოქმედებითი საღამო

ცნობილი მომღერლის, **შოუმენის, საქართველოსა და უკრაინის დამსახურებული არტისტის ენრიკო ჯანელიძის საჯარო გამოსვლები და სოლო კონცერტები, მუდამ ქართველ მაყურებელთა ყურადღების ცენტრში ექცევა ხოლმე.**

ასე იყო ამ ჯერზეც, როცა საქართველოს მწერალთა სახლში ჩვენი სასიქადულო მომღერლის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. მრავალფეროვანი, ჟანრების სიუხვით გამორჩეული საკონცერტო პროგრამის მოსასმენად, რომელიც ენრიკო ჯანელიძემ საყვარელი ქართველი პოეტების ლექსებით გაალამაზა, რომელთა წაკითხვისას დეკლამატორის უზადო ნიჭი წარმოაჩინა, იმ დღეს იქ დიდძალი ხალხი შეიკრიბა. ამასთან, მომღერლის ბენეფისი დიდად დაამშვენა ახალი ვიდეოკლიპის „Feel godd“-ის პრეზენტაციამ, რამაც კიდევ ერთხელ დაანახვა დარბაზში თავმოყრილ საზოგადოებას ენრიკო ჯანელიძის უნიკალური ვოკალური შესაძლებლობები და მისი რეპერტუარის ჭეშმარიტი მრავალფეროვნება.

არადა, იმ დღეს მწერალთა სახლში მართლაც დედაქალაქის ნარჩევი საზოგადოება შეიკრიბა.

მკითხველთათვის აუცილებლად საგულისყურო იქნება იმის გაგება, რომ კინოდოკუმენტალისტი, რეჟისორი გოგი თორაძე, თენგიზ თხილავას სცენარის მიხედვით, ენრიკო ჯანელიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილ უკვე მეორე ფილმს იღებს. პირველის ავტორი კი თავად ენრიკო გახლავთ.

23 ივნისს კი ენრიკო ჯანელიძე ჩვენს სასიქადულო მსახიობთან ჯემალ ღაღანიძესთან ერთად სოლო კონცერტს ქალაქ ხონში გამართავს. გარდა ამისა, მომღერლის შემოქმედებითი საღამოები საქართველოს კიდევ მრავალ მხარეში გაიმართება.

ოთარ ტურაბელიძე

აჭარას რუსი ბლოგერები სტუმრობდნენ

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით რეგიონს 10-მდე რუსი ბლოგერი სტუმრობდა. ოთხდღიანი მედიატურისას მონაწილეები აჭარის საზღვაო ტურისტულ პროდუქტებსა და მთიანი აჭარის ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს გაეცნენ. მოინახულეს მტირალას ერონული პარკი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, გონიოს ციხე, კურორტი გოდერძი და მწვანე ტბა. ბლოგერებმა აჭარაში ადგილობრივი კერძები დააგემოვნეს და თავადაც მიიღეს მონაწილეობა კერძების მომზადების მასტერკლასებში.

ივნისის ბოლომდე ბლოგერები აჭარაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს მკითხველებს გაუზიარებენ. სოციალურ ქსელებში მათი მიმდევრების რაოდენობა 15 000-დან 129 000-მდე მერყეობს.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ჟურნალისტებსა და ბლოგერებს რეგიონში 16 ქვეყნიდან იწვევს. აჭარას ამ ეტაპზე უკვე სტუმრობდა 80-მდე ჟურნალისტი. კვირის ბოლომდე აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი გერმანელი ჟურნალისტების პრესტურსაც გაუწევს ორგანიზებას.

ამინდი კვლავ უარესდება

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 12 ივნისის დღის მეორე ნახევრიდან 16 ივნისამდე საქართველოში კვლავ მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა და ელჭექი, ზოგან ძლიერი, შესაძლებელია სეტყვა, ელჭექის დროს ზოგან ქარის შკვალური გაძლიერება. საქართველოს მდინარეებზე შესაძლებელია წყლის დონის მატება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4075; ევრო - 2.6918;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0712;
100 რუბლი - 4.2290; თურქული ლირა - 0.6824;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4279;
1000 სომხური დრამი - 4.9948.

ამინდი 13 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge